სახალხო გაზეთი

№ 337 კვირა, 26 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 337

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის დამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპობათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.

დ. ყვირილაში „სორაპნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი" ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის **ღირს 4 მ. 80 კ.**

ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა ამით აცნობებს ნათესავთა და მეგობართ, საყვარელ ქმრის

დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 26 ივნისს, დილის სწორედ 9 საათზე. წირვა სიონის საკათედრო ტაძარში; დაკრძალვა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში. (6—1356—6)

მთავარ კანტორის მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, ძვირფას და დაუვიწყარ

დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

გარდაცვალებას.

გამოსვენება დღეს 26 თიბათვეს, დილის 9 საათზე. განსვენებულის ბინაზე—სერგეევის ქ. (6—1356—6)

---

20 ივნისს, ნაშუადღევის 1½ საათზე, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით იუწყებიან **კნეინა მარიამ ზაქარიას ასული, ელისაბედ დავითის ასული და თ-დი შალვა რევაზის ძე ერისთავები.** (2—685—2)

დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშები (ქარხ. № 2 ჩერქეზიშვილის ქუჩა № 93) გულითადის მწუხარებით აუწყებენ ყოველ თანამგრძნობლებს, ნაცნობებს და ამხანაგებს 20 თიბათვეს პირველ საათსა და 30 წუთზე ძვირფას და დაუვიწყარ ადამიანის და პატრონის

დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

(3—679—3)

დედა გარდაცვალებულისა ეკატერინე გრიგოლის ასული, შვილი ნიკოლოზ სიმონის ძე და და მაკრინე სპირიდონის ასული ფერნაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ გარდაცვალებას დაუვიწყარ

სიმონ სპირიდონის ძე ფერნაძისას.

პანაშვიდი დღეს 26 ივნისს, და ორშაბათს, საღამოს 7½ საათზე, საკუთარ სახლში, არკადოვის ქ. (მთაწმინდა) № 8. გამოსვენება სამშაბათს, დილის 9 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—697—1)

მხოლოდ 1 ივლისამდე მიიღება ხელის-მოწერა.

არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე:

„ჩვენი საზოგადოებრიობა".

შინაარსი: ავტორის სურათი. წინასიტყვაობა. 1) მეოთხმოციანნი და ცხრამოც-დაათიანნი. 2) პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე. 3) ნ. ნიკოლაძე (ნაწყვეტი). 4) თავად-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში. 5) რევოლუციის შემდეგ.

ვინც ამ წიგნზე ხელს **1 ივლისამდე** მოაწერს, მათთვის წიგნი ეღირება 10 კაპ. წიგნში იქნება არა ნაკლებ 260 გვერდისა.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის" რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის" რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (საბაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს. (20—1326—15)

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ორშაბათს, 27 ივნისს,

ქართულ დრამატიულ სცენის მოყვარეთა მიერ ალ. შანშიევის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შექსპირის ცნობილი ტრაგედია

ჰამლეტი

5 მოქ. 9 სურ. თარგ. მაჩაბლისა.

ანტრაქტებში დაუკრავს მანდოლინისტთა და გიტარისტთა გუნდი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილით 10—2 საათამდე, საღამოს 6—9 საათ. ადგილების ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, რაც გინდა ცუდი ამინდი იყოს, წარმოდგენა არ გადაიდება.

ვისაც 4 ივნისისთვის კასაში ნაყიდი აქვს ბილეთი ის არ გამოდგება და შეუძლიანთ კასაში დააბრუნონ უკან და ფული მიიღონ, ან გადაახვალონ 27 ივნისის ბილეთზე. **დასაწყისი საღ. 8½ საათზე.**

გამგე **პ. ფრანგიშვილი.** რეჟისორი **ა. შანშიევი.** ადმინისტ.-რი **ნ. ხუმბათოვი.** (1—695—1)

კვირას, 26 ივნისს,

ზუბალაშვილების სახალხო სახლში დანიშნულია

ქართ. სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის წევრთა მორიგი **საზოგადო კრება**

განსახილველი საგნები: 1. გამგეობის მოქმედების ანგარიში; 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3. მომავალ წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა; 4. ახალი წევრების მიღება; 5. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

კრება დაიწყება დილის 9 საათზე. (2—1268—2)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების

თელავის განყოფილების **გამგეობა**

აცხადებს, რომ წევრთა საზოგადო კრება **26 ივნისის** მაგიერ მოხდება

კვირას 3 მკათათვეს. (2—1357—2)

ვკისრულობთ

თარგმნას რუსულიდან ქართულად, როგორც პიესებისას ისე სხვა სალიტერატურო ნაწარმოებისას, ქართულ ხელნაწერების შესწორებას და კორექტურას, ხელმისაწდომ ფასებში.

ბაბილინა და ნარკანი.

(10—1345—8) იკითხეთ „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—78)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღეც და ღამეც. ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ვედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
დავითაია რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და პარ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.
მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.
მზარეულოვი მ. ა.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.
მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.
თერემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.
ფირალოვი რ. ს. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**
ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
ხულაგოვი ა. ა. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა [illegible] (წ. 1089—97)

სანატორიუმი
და
საზაფხულო სამყოფი

ექ. ვახტანგ ღამბაშიძისა.

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე.

მსურველთ ვუგზავნებთ დაწვრილებითი ცნობები.

(10—660—7) მისამართი: **ბორჯომით, პატარა ცემი ექიმს ვ. ღამბაშიძეს.**

საჭიროა ჭიათურის კერძო საქალებო სასწავლებლისთვის **მასწავლებლები** ერთი მათგანი უნდა იყოს სპეციალურად მცოდნე რუსული ენისა. საჭიროა აგრეთვე ხელ-საქმის მასწავლებელი, რომელმაც უნდა იცოდეს: ჭრა-კერვა, ქარგვა, ჩულქის მანქანის ხმარება და ნოსკის ქსოვა. თხოვნები მიიღება სკოლის სახელზედ 15 მარიამობისთვემდის.

გამგე სასწავლებლისა მარიამ ჩხეიძე. (2—1365—2)

„ახალი კლუბი" ოფიციალურად გაიხსნება შაბათს, 2 ივლისს, 1911 წ. ამ დღის პროგრამა ცალკე გამოცხადდება; გახსნამდე კლუბის მოქმედება დაიწყება 21 ივნისიდან, მხოლოდ წევრთათვის და სტუმართათვის. სტუმართა კლუბში შესავლელი ფასი ღირს კაცებისთვის 50 კაპ., ქალებისათვის და სტუდენტთათვის 25 კ. **არის სეზონის ბილეთებიც.** (5—1347—3)

„ნამდვილი მეგობრობა"
(„Настоящая дружба").

ყოველთვის სჯობს მიმსგავსებულს მიუხედავად ყოველ-ნაირ ზომებისა ჩვენი პაპიროსების მიმსგავსებას მაინც განაგრძობენ და ვრცელდება. ახლახანს აღმოვაჩინეთ ახალი შემთხვევა სიყალბისა ჩვენი პაპიროსის **„მეგობრობა"-ზე** („Дружба") (20 ცალი 5 კაპ.) კიდევ ვაფრთხილებთ მყიდველთ, რომ მიაქციონ ყურადღება საფ. **ნიშანსა და ფირმას.** (3—1366—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.
ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.
შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. გ. ხოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით. (ზ— -1090—94)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 ჩახლი ჯაბაშვილისა [illegible]

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. კოჯორისა და ბატარეინის ქუჩის კუთხე N 24 [illegible]

ექიმი კბილისა **ისიდორე ჟანტურია** გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიის ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329—16)

აბასთუმანში
კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერ-მარქაროვისა. (თ.—1333—11)

ექიმი გ. მუსხელიშვილი სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

სურამში
კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ ვედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—47)

ქუთაისში
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—19)

დოქტორი მედიცინისა
ი. გ. ჩუდნოვსკი
გადავიდა
კიროჩნის ქუჩა სახ. № 18, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების პირდაპირ.
მიიღება შინაგან და ნერვებიანი ავადმყოფნი—ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—8 ს. (10—1336—6)

შპალიერი
ძმ. ტარნოპოლთა
ქარხნისა
ტფილისის განყოფილება
იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355. საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—32)

შემთხვევით
იყიდება მიწა
საბურთალოზე 403 ოთხ. საჟენი, ახინელი - საგაბაშვილის ადგილში. პირობების გაგება შეიძლება „სორაპნის" სტამბაში, დილ. 8 ს.-დან საღ. 6 ს.-მდე **ნიკო ქობალაშვილთან.** (0—11)

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆

◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ტფილისი, 26 ივნისი.

ინგლისის ამბები. დავა ინგლისის კონსერვატორებსა და ლიბერალთა შორის დაუსრულებელი ზღაპრად გადაიქცა. დავა ლორდთა პალატის უფლებებს შეეხება. რა თქმა უნდა, ლორდები ყოველ ღონისძიებას მიიღებდნენ, რომ საკუთარის ხელით ყელი არ გამოეჭრათ. ბრძოლა სასტიკი სწარმოებდა, მაგრამ ინგლისის მეფის დაგვირგვინებამ ცოტა ხნობით შეაჩერა გამწვავებული დავა ლიბერალთა და კონსერვატორთა შორის. დაგვირგვინება უკვე გათავდა და დავა ისევ დაიწყო. ჩვენს მკითხველებს უკვე ეცოდინებათ, რომ პარლამენტის კანონ-პროექტში, რომელიც ლორდთა პალატის უფლებათა შეკვეცას შეეხება, კონსერვატორებმა აუარებელი შესწორებანი შეიტანეს. ამ ჟამად შეტანილია კიდევ ერთი თვალსაჩინო შესწორება ლორდ კრომერისა. თანახმად ამ შესწორებისა, არჩეულ უნდა იქმნას განსაკუთრებული შეერთებული კომიტეტი, რომელიც შესდგება ქვედა და ზედა პალატის შვიდ-შვიდ წარმომადგენელთაგან. ამ კომიტეტის დანიშნულება უნდა იყოს გამორკვევა იმისა, თუ რომელი კანონ-პროექტი უნდა ჩაითვალოს ფინანსიურად და რომელი—არა. ამას გარდა, კომიტეტმა უნდა გამოარკვიოს, როდის უნდა მიმართოს ხოლმე პარლამენტმა ხალხს მისი აზრის გასაგებად ამა თუ იმ კანონ-პროექტის შესახებ. ამასთანავე მთელი რიგი კანონ-პროექტებისა, რომელიც შეეხება მონარქიის არსებობას, ნაციონალურ ავტონომიების დაარსებას ირლანდიასა, შოტლანდიასა, უელსში, უნდა გადაწყვეტილ იქმნას რეფერენდუმით.

ყველა ეს ისეთი შესწორებანია, რომელნიც შეუძლებლად გახდიან კონსერვატორთა და ლიბერალთა შეთანხმებას. ამისთანა პირობებში მოსალოდნელია მხოლოდ ორი გზა: ან ლიბერალ ლორდთა დანიშვნა და ან კიდევ ახალი არჩევნების მოხდენა.

ამ საკითხის გადაწყვეტა კი მეფის საქმეა. ამ რიგად, საბოლოოდ მეფემ უნდა მოუღოს ბოლო იმ დავას, რომელსაც ეს რამდენი ხანია ეწევიან კონსერვატორები და ლიბერალები.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ როგორც გავიგეთ, ეპისკოპოზს ლეონიდს საქართველოს ეგზარხოსის ინოკენტისათვის მიუმართავს თხოვნით, ნება მომეცით ტფილისში წავიდეო. ეგზარხოსს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნია ლეონიდისათვის: ნება გეძლევათ, მაგრამ გაფრთხილებთ, თუ წასვლა სარაჯიშვილის დასაფლავებაში მონაწილეობის მიღებისათვის გსურთ, ეს საქმე მინდობილი აქვს ჩემ მოადგილეს ეპისკოპოსს პიმენსო.

◆ **სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო კომისიის კრება** 24 ივნისს მოხდა. კომისიამ განიხილა მ. ვ. მაჩაბლის განცხადება, რომლითაც იგი უარს ამბობს კომისიის თავმჯდომარეობაზე და დაადგინა, სთხოვოს ბ-ნს მაჩაბელს ამ თანამდებობაზე კვლავ დარჩეს.

◆ **ტფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორმა** ნება-დაურთველად „ბერდანის" სისტემის თოფის შენახვისათვის დააჯარიმა: სოფ. ხაშმის მცხოვრები მ. ე. ახალკაციშვილი—25 მანეთით; თუ ჯარიმას არ გადაიხდის ერთი თვით სატუსაღოში უნდა ჩაჯდეს, და სოფ. ვერძიახევის მცხოვრები ა. ბ. ზურაბიშვილი—10 მანეთით ან ორი კვირით დატუსაღება.

◆ **განსვენებულის დ. ზ. სარაჯიშვილის** დასაფლავებაზე დასასწრებად ქუთაისის ქალაქის გამგეობის მხრივ, ტფილისში ჩამოვიდნენ ქუთაისის ქალაქის მოურავი **ი. ვ. ჩიქოვანი** და გამგეობის წევრი **ბ. ბაქრაძე**.

◆ **დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად** 24 ივნისს სოფელ დიღომში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: სოფლის საზოგადოება, სამრევლო სკოლის მოსწავლენი მასწავლებლებით. გალობდა მოსწავლეთა გუნდი. ადგილობრივმა მღვდელმა ივანე სონღულაშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

◆ **ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის** ზედამხედველმა კომიტეტმა 22 თიბათვის კრებაზე ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნას და დაადგინა მთელი კომიტეტი დაესწროს დაკრძალვას და განსვენებულის კუბო ვერცხლის გვირგვინით შეამკოს.

◆ განსვენებულის დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად, გუშინ გარდახდილ იქმნა პანაშვიდები: ქართულ საზოგადო დაწესებულებათა მიერ 1 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, თავად-აზნაურობის მიერ—გარდაცვალებულის ბინაზე, სადაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა დუშეთის მაზრის წინამძღოლმა ბ. გურამიშვილმა.

◆ სასანიტარო მზრუნველობისაკან შემდგარმა საგანგებო **კომისიამ** 23 თიბათვეს დაათვალიერა უსახელო საზოგადოების ვაგონები სადგურიდან გამოყვანის წინ, ვაგონების უმეტესობა დაუსუფთავებელი აღმოჩნდა, რაც აიხსნება მით, რომ მწმენდელების რიცხვი ძლიერ ცოტა ყოფილა. იმ დღესვე პირველსა და მეორე უბნის სანიტარულმა კომისიამ სამზარეულო დუქნები და ფურნეები დაათვალიერა. რამდენიმე ფურნეში სამ ფუთზე მეტი ცომი პური აღმოაჩინა. ხილის მაღაზიებში დამპალი ბალი, ალუჩა და ატამი უნახავს. დამნაშავეთა დასასჯელად შესაფერი ოქმი შეადგინეს.

◆ როგორც გადმოგვცეს, მომავალ შემოდგომაზე დაიწყება **„ვეფხის ტყაოსნის" ინგლისურ ენაზე ბეჭდვა**. მკითხველებმა იციან, რომ ეს თხზულება ინგლისურად სთარგმნა მარჟორი უორდროპმა. გამოცემა მის ძმას ოლივერ უორდროპს განუზრახავს.

◆ **სანიტარულმა კომისიამ** 23 ივნისს დაათვალიერა ბელინსკისა და პეტროვის ქუჩაზე მდებარე სახლები და სავაჭრო დაწესებულებანი და ბევრგან სანიტარულ წესების დარღვევა აღმოაჩინა. შედგენილ იქმნა შესაფერი ოქმები.

წვრილი ამბები

◆ 24 ივნისს ტფილისში შეიპყრეს 4 უპასპორტო.

◆ 24 ივნისს განთიადისას ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, მდედრობითი სქესისა, დახლოვებით სამის კვირისა. ბავშვი ოლგას სახელობის ინსტიტუტში მოათავსეს.

◆ გუშინ სანიტარულმა კომისიამ ქალაქის მეათე უბანში სავაჭრო დაწესებულებანი დაათვალიერა. „აპოლოს" სინემატოგრაფის სამზარეულო მეტად უსუფთაო მდგომარეობაში აღმოჩნდა. პატრონს წინადადება მიეცა, სამზარეულო დაუყოვნებლივ გაასუფთაოს.

◆ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა სერგიევის ქუჩაზე მცხოვრები ელენე ივანეს ასული ხუნციაშვილისა.

◆ გუშინ 25 თიბათვეს, ნაშუადღევის 4½ საათზე ვორონცოვის ხიდთან ბანაობის დროს ვიღაც უცნობი წყალმა წაითრია. მის საშველად გადახტა მეორე, მაგრამ ორივე წყალმა დაახრჩო.

საზოგადოებანი და კრებები

◆ 24 ივნისს მოხდა მეშჩანთა გამგეობის კრება. მამასახლისმა მოახსენა კრებას სხვა და სხვა პირთა სთხოვნები და მათ შესახებ აზრი კომისიისა. კრებამ თითქმის კომისიის ყველა გადაწყვეტილება დაადასტურა. აგრეთვე განიხილეს ხუთი თხოვნა სხვა და სხვა დაწესებულებათა ფულით დახმარების შესახებ. მათგან 25 მანეთი გადასდეს მხოლოდ რომანოვების საგვარეულო სახლის 300 წლის სადღესასწაულოდ ეკლესიის ასაგებად და სხვებს კი, უფულობისა გამო, უარი ეთქვა.

დასასრულ ი. პერკვილაძის მოგონებით მამასახლისმა ფ. არაქელიანცმა კრებას წინადადება მისცა ფეხზე ადგომით პატივი ეცა დ. ზ. სარაჯიშვილისა და კ. ალაიანის ხსოვნას და გადასწყვიტეს დასაფლავებას დაესწრონ და ჭირისუფალთ სამძიმარი გამოუცხადონ.

◆ 23 ივნისს მოხდა შეერთებული კრება საბჭოს სატეხნიკო, ტეხნიკურ საბჭოსი და მოწვეულ სპეციალისტებისა, რომელთაც განიხილეს საკითხი კვირაცხოვლისა და დიდხევის ხრამის უბნის სანიტარულის მხრივ მოწესრიგების საქმე, თათბირის შემდეგ კრებამ დაავალა ინჟ. ვასილიევს და იაკშინს ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინონ მოხსენება ამ საქმის თაობაზე.

სასამართლო

◆ **რედაქტორის ზ. საფაროვის საქმე.** ხვალ, 27 ივნისს, ტფ. სასამართლო პალატა წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაარჩევს ქართულ გაზეთის „ხალხი"-ს რედაქტორის ზ. მ. საფაროვის საქმეს. სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით გაზეთში დაბეჭდილ ლექსისთვის ამ სათაურით: „იდუმალი ხმა".

◆ **კავკასიის სამხედრო სასამართლო** ხვალ, 27 ივნისს, გაარჩევს საქმეს გ. ნამორაძისას, რომელსაც ბრალსა სდებენ სისხლის სამართლის მე-102 მუხლის ძალით.

◆ **სტუდენტის ივანე გველესიანის საქმეს** ტფ. სასამართლო პალატა ხვალ, 27 ივნისს, გაარჩევს. გველესიანს ბრალდება ნებადაურთველი წიგნების შენახვა ხალხში გავრცელების განზრახვით.

რკინის გზაზე

◆ სადგურ **ბეჟამთიდან** სვირისაკენ მიმავალი საფოსტო მატარებელი № 2, დაეწია ლიანდაგზე მიმავალ უცნობ კაცს და შორს გადისროლა. დაშავებული უგრძნობლად მიიყვანეს ყვირილის საავადმყოფოში.

◆ სადგურ **აირუმსა** და **სადახლოს** შუა (ყარსის გზა) მატარებელმა № 72 გასრისა 138 ვერსის დარაჯი.

◆ სად. **ბელოგორისა** და **მარელისს** შუა, 23 ივნისს, მიწის თხრის დროს, კლდიდან ჩამოვარდა მუშა კ. ტაბატაძე და ფეხები მოიმტვრია. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

ქუთაისი

◆ ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია თვითმმართველობის სახელით, დ. ზ. სარაჯიშვილის ცხედარი გვირგვინით შეამკოს.

ბათუმი

◆ ამომრჩეველთა ერთი ჯგუფი, უკმაყოფილო დარჩენილა უკანასკნელის არჩევნებისა, ამიტომ ბათუმის ოლქის გუბერნატორისათვის საჩივარი წარუდგენია, სადაც აღნიშნავენ ზოგიერთი ხმოსანთა არჩევნების ზოგიერთ უკანონობას,

◆ წრევანდელ ზამთარს ქალაქის ბაღებისთვის დიდი ზარალი მიუყენებია. საერთოდ ცხელი ქვეყნების და ჩვენებური ხეები დაღუპულა 17,450 ძირი. ყველაზე მეტი ფინიკის ღერეწამი დაღუპულა — 5,390,5975 მანეთად ღირებული. სულ კი ზარალი თურმე 13,965 მანეთს უდრის.

გორი

◆ გორის ქართვ. საზოგადოებამ დაადგინა თანაგრძნობა გამოუცხადოს დ. ზ. სარაჯიშვილის ქვრივს პისს ღრმა მწუხარებაში, გაგზავნონ წარმომადგენლები დასაფლავებაზე დასასწრებლად და განსვენებულის კუბო გვირგვინით შეამკოს. გორის ტაძარში გადახდილი იქნება პანაშვიდი.

პროვინცია

◆ **სოფელ ყირაჯალარში** (ტფილისის მაზ.) 24 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე გალაიდ ბეკ რაფიევს იჭვნეულობის გულისთვის ხანჯლით მოუკლავს თავისი ცოლი პირი ჰერფილ კიზი. მკვლელი შეიპყრეს.

◆ კახეთიდან არა საიმედო ამბებს გვატყობინებენ, სეტყვას წელს ბევრი ნათესი და ხილი გაუფუჭებია. პურის მოსავალი შარშანდელზე ბევრით ნაკლებია. სიმინდი ხანგრძლივ გვალვებს გაუფუჭებია. ყურძნის მოსავალსაც საშუალოს მოელიან, წისქვილები გაჩერებულია, არც საჭიროა მათი ამუშავება, რადგან უმეტესობა ნასყიდი ფქვილით იკვებება.

ჟურნალისტის დღიური

27.

დავით ზ. სარაჯიშვილი.

მე პირადად არ ვიცნობდი განსვენებულს დ. ზ. სარაჯიშვილს და ამიტომ მისი დახასიათება როგორც პიროვნებისა, ვერ შემიძლიან. დაე ეს საქმე იკისრონ სხვებმა, რომელნიც პირადად კარგად იცნობდნენ დავით ზაქარიას ძეს და რომელნიც სრული მოწმენი არიან მთელი მისი მოღვაწეობისა. მაგრამ მე და ჩემთან ერთად მრავალი სხვაც კარგად ჰხედავს მის მიერ შექმნილ საქმეს და დასასრულ ანდერძს, რომელშიაც ნათლად გამოსჭვივის მისი დამახასიათებელი თვისებანი. ვინ იცის იქნება იმისთვის უფრო ადვილი იყოს მისი დახასიათება, ვინც დ. ზ. სარაჯიშვილის მიერ შექმნილ საქმეს მხოლოდ შორიდან უცქერის! პირადი განწყობილება ხშირად შეუძლებლად ჰხდის მკაფიოდ წარმოიდგინოს მნიშვნელობა თვით საქმისა. თუ ამნაირად შევხედავთ საკითხს, დავინახავთ, რომ გარეშე მაყურებელსაც შეუძლიან ზედ-მიწევნით დააფასოს პიროვნება დ. ზ. სარაჯიშვილისა, რომელიც მის საქმესა და ანდერძში გამოისახა.

ერთის შეხედვით დ. ზ. სარაჯიშვილი კაპიტალისტი იყო; არც მეტი არც ნაკლები. მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით მის მოღვაწეობას დაინახავთ, რომ ის კაპიტალისტი იყო არა მარტო იმიტომ, რომ კაპიტალის შეძენა უნდოდა, არამედ, ასე ვსთქვათ, იდეისთვისაც. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ხასიათი მისი საქმიანობისა. ამ რამდენიმე ხნის წინად გარდაიცვალა არა ნაკლებ ცნობილი კაპიტალისტი მანთაშევი, და მასთან შედარება ნათლად დაგვანახვებს განსხვავებას და დამახასიათებელ თვისებას დავ. ზაქარიას ძე სარაჯიშვილისას, როგორც კაპიტალისტისას. მანთაშევი ნავთის შადრევნებმა გაამდიდრა. ნავთის შადრევანი კი თავის თვისებით იმნაირია, რომ ადამიანში ფულის შეძენის ეშხსა და ჟინიანობას იწვევს. მანთაშევიც გატაცებული იყო ამ ეშხითა და ჟინიანობით, რომელიც ბუნებრივად საბირჟო სპეკულიაციით დასრულდა. საბირჟო სპეკულიაცია კი ისეთი რამაა, რაც სიმდიდრის განაწილების ცვალებადობას ძალიან უწყობს ხელს. მანთაშევი ოსტატურად მუშაობდა ბირჟაზე და ქონებაც შეიძინა, შეიძინა ოქრო თამაშობით, სპეკულიაციით. სულ სხვანაირის გზითაა შეძენილი დ. ზ. სარაჯიშვილის სიმდიდრე. იგი ნელნელა იზრდებოდა; თვით საქმის წარმოების ზრდასთან ერთად. ევროპიულად განვითარებული და ევროპიულად აღზრდილი პატრონი ფირმისა თანდათან ანვითარებდა საქმეს, რომელიც დიდს შრომასა და ენერგიასთან ერთად ცოდნასაც მოითხოვდა. დავით ზაქარიას ძეც შრომობდა და ანვითარებდა თავის საქმეს ქართველებისთვის უჩვეო სიბეჯითითა და დაჟინებით. დ. ზ. სარაჯიშვილი პიონერი იყო ქართული სამოქალაქო ცხოვრების განვითარებისა, თითქოს თვითონაც კარგად ჰგრძნობდა ამას და ყოველ ღონის ძიებას ჰხმარობდა, რომ თავისი სამრეწველო საქმიანობისთვის იდეიური ხასიათიც მიეცა. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის მკაცრი პასუხები, რომელსაც მიიღებდნენ ხოლმე ზოგიერთნი სხვადასხვა თხოვნების მირთმევის დროს. მისთვის ცხადი იყო, რომ კერძო დახმარების იმედი არავის არ უნდა ჰქონდეს, რომ თვითოეულმა თვითონ უნდა შეჰქმნას თავისი ეკონომიური კეთილ-დღეობა და საკუთარი შრომითა და ენერგიით გაიკვლიოს გზა ცხოვრებისა. ასეთი შეხედულება, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლიდა საზოგადოებრივ ქველ-მოქმედებას, და დავით ზაქარიას ძეც ეწეოდა ამ ქველ-მოქმედებას, როგორც შეეძლო და სასარგებლოდ მიაჩნდა.

რომ დავით სარაჯიშვილი გატაცებული იყო არა სიმდიდრის მოპოვების სურვილით, არამედ თვით საქმიანობის იდეით, ეს მისმა ანდერძმაც დაადასტურა. ყველაფერი, რის დატოვებაც კი მას შეეძლო, საზოგადოებას დაუტოვა. საზოგადოებასვე დაუბრუნა ქონება, რომელიც საზოგადოებამ მისცა. განსაკუთრებით კარგს შთაბეჭდილებას ახდენს ანდერძის ის მუხლი, რომელიც მოსამსახურეთა დაჯილდოვებას შეეხება. ამ დაჯილდოებაში ნათლად გამოისახება მისი დამოკიდებულება მუშებსა და მოსამსახურეებისადმი, რომელნიც მონაწილენი იყვნენ მისი სიმდიდრის შექმნისა. ანდერძის ეს მუხლი საინტერესოა არა მარტო მით, რომ მუშები და მოსამსახურენი ფულს მიიღებენ, არამედ მით, რომ მასში გამოიხატა აზროვნება და სულიერი განწყობილება დავით სარაჯიშვილისა, გამოიხატა მისი საკმაოდ განვითარებული გრძნობა საზოგადოებრივობისა...

შინაური.

დავით სარაჯიშვილის საფლავთან

მშვიდობით, იშვიათო მამულიშვილო და დაუვიწყარო ადამიანო! რომ ქართველი საზოგადოების ხსოვნაში შენი სახელი სამუდამოდ აღბეჭდილია და ის მადლი და სიკეთე, რომელიც ჩვენთვის გითესნია, არას დროს არ დაივიწყება,—ეს, ალბად, შენც გეცოდინება, რადგან არც ისე უმადურად გვიცნობდი, რომ საზოგადოების მხრით მადლიერი ხსოვნის მოლოდინიც არ გქონოდა. მაგრამ ეს კი შეიძლება არ გცოდნოდა, რომ ყველა შენ პირად ნაცნობთა გულშიაც აღმოუფხვრელი და სიყვარულით მოსაგონებელი ხარ და იქნები.

რათა? იქნებ იმიტომ, რომ უხვი იყავი და ღარიბისთვის დახმარება მოვალეობად მიგაჩნდა? ან იმიტომ, რომ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდი და ჩვენთვის აღმზრდელ მაგალითს წარმოადგენდი? ან იმიტომ, რომ უსაზღვრო სტუმართ-მოყვარე იყავი და ქართული მასპინძლობა ოჯახის წესად გქონდა მიჩნეული?

ან, იქნებ, იმიტომ, რომ სამშობლოს სამსახურს მოვალეობად სთვლიდი, მის აწინდელ სავალალო მდგომარეობას მწვავედ განიცდიდი და უკეთესი მერმისის მოსაპოებლად სწავლა-განათლების შეძენას გვიადვილებდი? ნუ შემოგვწამებ ასეთ „ანგარებას". ასეთ საფუძველსა და ნიადაგზე მადლობისა და პატივისცემის გრძნობა აღმოცენდება და არა—სიყვარული!

ან, შეიძლება, შენი ნაცნობ-მეგობარნი დღეს იმიტომ სტირიან და სულის ობლობას იმიტომ განიცდიან, რომ შენ მათი გული თბილის სიტყვებით და გარეგნულის სიამტკბილობით მოინადირე?—მაგრამ... ძვირფასო ადამიანო, ეს ხომ კარგად გვახსოვს, რომ, არა თუ პირფერობა, ხშირად, კამათის დროს, „დურაკის" სახელიც ჩვენთვის გამარჯობასავით მოგირთმევია.

ჭეშმარიტად შესანატრი ხარ, რომ შენ არ გეჭირვებოდა პირფერობა ადამიანის გულის მოსანადირებლად. საერთო გულწრფელი სიყვარული მოიპოვე არა იმით, რაც არ იყავ, არამედ იმით, რაც ნამდვილად იყავ, მთელს შენს არსებას ახლდა განსაკუთრებული მადლი, რომელიც შენს მწარე სიტყვასაც ტკბილად აქცევდა და შენს ნაცნობ-მეგობარს უფრო და უფრო გიახლოვებდა და სულიერად გიკავშირებდა.

ეს მადლი იყო შენი სულიერი თვისება, რომელიც ყოველ შენს მოღვაწეობას და ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობას აღმატებულ ღირსებას ანიჭებდა და თვით შენ საყვარელ ადამიანად გხდიდა. შენი ქველმოქმედება, თავის-თავად დიდი და ჩვენს მდგომარეობაში დიდად დასაფასებელი, თვით შენ მცირედ და უმნიშვნელოდ მიგაჩნდა. გაცემას ყოველთვის ისეთ ხასიათს აძლევდი, თითქოს იგი თავის თავად მიმღებს ეკუთვნოდა და შენს პიროვნებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. თავდაბლობა, გულ-კეთილობა და გულწრფელობა გამოსჭვივოდა ყოველ შენს მოქმედებაში და ყველა ეს ჩვენ გვხიბლავდა და შენს თავს გვაყვარებდა. ძაგებაც კი შენის მხრით ყოველთვის სიყვარულითა და სიკეთის სურვილით იყო გამოწვეული და შენს პესიმიზმსა და უიმედო გოდებას ქართველობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ ის გაიგებდა სავსებით, ვინც სამშობლოსადმი სიყვარულს შენსავით განიცდიდა და ჩვენს ეკონომიურ ულონობას შენსავით გაითვალისწინებდა.

ეს პესიმიზმი თან მიგყვება,—ნაღვლიანი მიდიხარ ამა სოფლიდან. ამ ოთხი კვირის წინად მითხარი კიდეც უცხოეთში: „ვკვდები. რა დამშვიდებით მოვკვდებოდი, რომ სამშობლოს იმედი მიმყვებოდესო!" მაგრამ, ჩვენო დაუვიწყარო მოამაგევ, გულს მაინც ნუ გავიტეხთ. თვით შენი ცხოვრებაც თავის თავად იმედის მომცემი არის. იგი ამტკიცებს, რომ ქართველ ერში უნარი და პრაქტიკულ შემოქმედების ნიჭი არ არის გამოლეული. ვინ იცის, იქნებ მომავალში მოვიპოვოთ ის ძალა, რომელზედაც შენ მუდამ გვითითებდი, და მით დაგიბრუნოთ იმედი და სიხარული!

ამ იმედით გეთხოვებით. გვშორდები, მაგრამ—ხორციელად: სულიერად მაინც ჩვენთან იქნები. ამის თავდებია შენი სურათი, ჩვენს გულში წარუშლელად აღბეჭდილი. იმედი გქონდეს: სათუთად შევინახავთ, გავუფრთხილდებით.

ფ. გოგიჩაიშვილი.

სამძიმრის მაგიერ

დიდად პატივცემულო
ეკატერინე ივანეს ასულო!

დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ დიდი სიმძიმილის გრძნობა აუშალა ყოველ შეგნებულ ქართველსა იმ მავბნელმა სიკვდილმა, რომელმაც მოგტაცათ ძვირფასი სული დავით ზაქარიას ძისა და გრძნობიერი გული დაგიობლათ.

თქვენი მწუხარებისადმი საერთო თანაგრძნობა ესე, თითქოს, მანუგეშებელიც უნდა იყვეს თქვენთვის, მაგრამ მარტო ამ ნუგეშს არ უნდა დასჯერდეთ. დავით სარაჯიშვილი მარად სახსოვარ და უკვდავია ქართველობისათვის ისევე, როგორც არა ერთი საქართველოს დიდებულ და გვირგვინოსანი სეხნია მისი. შინაურობაში და გულითად მეგობართა შორის დათიკო სახელოვანი! მოღვაწეობით დავით დიდი იყო და მისი უკვდავყოფა როდი კმარა თუნდ და დიდის ზარით, დასაფლავებით და სამარეზე უცხო მატურის დიდ[illegible]გმით სამკაულად დიდუბის საყდრის გალავანისა, იმ ადგილისა, სადაც ქართლის დედამ წმინდა თამარმა იქორწინა.

ღვთისაგან ბედ-სვიანობით, შე[illegible] ლებით და გულუხვობით იმსგავს[illegible]

ბით იმ ძველ ქართველებს, რომელნიც ზოგჯერ სახელგანთქმულ და უჩინარ, მაგრამ გულისათვის ძვირფას ნათესავებს სულის საოხად და სალხინად უშენებდნენ დიდებულ აკლდამა ტაძრებს, სადაც სიკვდილის შემდეგ თვითონაც იმარხებოდნენ.

რამდენია დღეს ასეთი აკლდამა ტაძარი გვირგვინად და სამკაულად ჩვენის მამულისა. დავით ხომ ჩვენთვის ყველასათვის ძვირფასი ადამიანი იყო, ის ხომ, როგორც დავით აღმაშენებელი ქართველთა ახალგაზრდობის განათლებისა და სულიერებრივ აღორძინებისათვის იღვწოდა და აურიცხელ ქონებას ხარჯავდა. ამისათვის დიდებე, რომელიც მარად სახსოვარ და წმინდა არს ქართველობისთვის, ღირსია მის, რომ დაამშვენოთ საოხად და სალხინად დავით ზაქარიას ძის სულისა, დიდებულ ქართულის ხუროთ-მოძღვრებისამებრ აშენებულის აკლდამა ტაძრითა ადგილზე და ნაცვლად ეხლანდელის უშნო ეკლესიისა, რომელიც შეუფერებელია ადგილ გარემოების მნიშვნელობისთვის.

ასეთი აკლდამა ტაძარი, სადაც შემდეგ დაკრძალულ იქნება ძვირფასი ნეშთი თქვენი მეუღლისა, უკეთესი ადგილ განსასვენებელი იქნება აგრეთვე მისი კეთილის და უშურველის სულისა, უფრო მანუგეშებელი თქვენი გრძნობის და სასიქადულო მრთლად ქართველობისათვის, რომელსაც შეეძლება სთქვას, ჯერ კიდევ მაბადიან ნეტარნი და ღირსნი დედანიო.

პეტრე მირიანაშვილი.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი და ხელოვნება

დავით ზაქარიას ძე უყურადღებოდ არავის არ სტოვებდა. მისი მგრძნობიარე გული ყველასათვის ჰფეთქდა, მაგრამ მუშაკთა ხელოვნების მეგობარი ჩვენში პირველი ის იყო. მხოლოდ იმას შეეძლო როგორც ნივთიერი, ისე ზნეობრივი დახმარება. ვისაც დ. ზ. ეხმარებოდა, არა ჰგრძნობდა მოვალეობას, მძიმე უღელს კერძო პირისადმი. მას უყურებდით, როგორც სამშობლოს წარმომადგენელს, მშობელს.

ამისთანა დახმარება დაუფასებელია.

ხელოვნების მოტრფიალეთა შორის ბევრნი ხშირად სიღარიბისა გამო უღრმეს ზნეობრივ ტანჯვას განიცდიან, აქ მდიდარი კაცი არა კმარა, საჭიროა მეგობარი და ასეთი მეგობარი იყო დავით ზაქარიას ძე. მიუხედავად მისა, რომ ყველაზე მაღლა იდგა სწავლით, ნიჭით, ხარისხითა და სხვა, ისე მიიღებდა ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცს, ისე გულითა და სულით გამოჰკითხავდა, თითქო შორიდგან შვილი ჩამოუვიდაო.

ხშირად მიყურებია და გამკვირვებია მისი ხალისიანი, სულ-ჩამდგმელი ალერსი მოსწავლეთადმი.

ეკატერინე ივანესს ასულმა დაჰკარგა ძვირფასი მეუღლე და ჩვენც მასთან ერთად ვგლოვობთ უძვირფასესის მამის და მეგობრის დაკარგვას.

სტიპენდიანტად ნამყოფი მხატვარი მოსე თოიძე.

სევდა მამულისადმი

(ვუძღვნი ს. ფ—ს).

შენდა ისწრაფვის სული ჩემი, ტკბილო მამულო,
ჩემო სინათლევ, ჩემო სევდავ და სიხარულო!
დაშორებული სალამს გიძღვნი, სალამს მხურვალეს.
ორბის ფრთებს ვასხამ წმინდა ლოცვას და ფიქრს მღელვარეს,
ელვის სისწრაფით მოვაქროლებ ესრედ მწყურვალეს!..
ოცნების თვალით მსურს, მამულო, გიხილო მჭნარი.
გულ-ამოსკვნილმა ვიგალობო სიმღერა წყნარი,
ცრემლებით მოვრწყა ველ-მიდამო მთლად გადამწვარი.
მსურს კვლავ მთაწმინდას ვეამბორო, ადგილს მწუხარეს;
მუხლით მოვუყარო წამებულთა საფლავს მდუმარეს.
ერო, სტიროდე შენ სამოთხეს ადრე დაკარგულს,
ერო, სტიროდე ხეს ცნობისას სხვაგან გადარგულს!
ვაი, შენს ნანგრევს, სად ბრწყინავდა ერთ დროს დიდება,
დღეს ახლობელი შორს გაურბის და ერიდება!
შენი გოდება ზეცას აღწევს, ტანჯვა ზღვას უდრის,
მტერი სასტიკი შენს მომავალს სამარეს უთხრის!
ვაი, მიდამოს, სისხლით მორწყულს წინაპართაგან!
მკვიდრნი განდევნეს, მოაშორეს უკვე თვალთაგან.
დღეს მის კალთაზე ესრედ ლაღად ვინ დანავარდობს?
რომელი უცხო საიდუმლოს თავისას ანდობს?
ვაი შენს ტაძარს, ნანგრევთ ნაშთსა მოსაგონებლად!
რად ააშენე შორეულთა დასამონებლად?
სამსხვერპლო წმინდა ვინ წარგტაცა, ვინ შეაგინა?
რომელმა ძალამ მყუდრო მლოცველთ ცრემლი ადინა?
ვაი სასახლეს, რჩეულ მეფეთ სამკვიდრებელსა!
დღეს საპყრობილეს ნესტიანსა, ჩაბნელებულსა!
ვაი ალაზანს! ვაი მტკვარს დაღონებულსა,
თუ ვეღარ ჰნახავს მას ქართველი აბორგებულსა!
ერო, სტიროდე შენ სამოთხეს ადრე დაკარგულს!
ერო, სტიროდე ხეს ცნობისას სხვაგან გადარგულს!

—

ნეტა ვის ძალუძს ცრემლი ცხარე შემიშროს თვალსა?
ნეტა რომელი სევდით სავსეს ჩამიქრობს ალსა?
ყორანი სჯიჯგნის მთის არწივსა ბრძოლით დავრდომილს,
ოჰ, მიწამ შთამთქას, თუ მოვესწარ მის მზეს დახდომილს,
შავის დღის ნახვით სულმა ჩემმა როგორ იხაროს?
დეე დაბნელდეს, გლოვის ძაძა გადაიფაროს!..

ცურიხი.

ა. შანშიაშვილი.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო

რედაქციამ მიიღო 1) **არმავირიდან** სამგლოვიარო დეპეშა ძმათა კაპოშაურებისაგან, 2) **გორიდან** ქართველ საზოგადოებისაგან.

3) **სტ. რუხსადან** არქიმანდრიტ ამბროსისაგან.

4) საქართველოს ღირსეულ შვილის დ. ზ. სარაჯიშვილის უდროოდ გარდაცვალებამ გულწრფელი მწუხარება გამოიწვია ქართველთა შორის.

ქართველნი დამბაშიძის ხანატ თ—დან.

—

ჩვენ, ტფილისის მეპურეთა ამქრის ხელოსნები, ღრმად გულ-დაწუხებულნი ვგლოვობთ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის დავით სარაჯიშვილის უდროოდ გარდაცვალებას.

ქართველ ერს ეწვია დიდი უბედურება, იმიტომ მთელი ამქრის ხელოსანთა მინდობილობით ვაცხადებთ ჩვენს ღრმა მწუხარებას საერთო მწუხარებისა გამო.

უერთდებით ჩვენი განუსაზღვრელი გლოვით და ცრემლით განსვენებულის დავითის მეუღლის, ნათესავთა და ნაცნობთა მწუხარებას.

გიორგი სხირტლაძე, იოსბ ისაკძე.

—

სოფ. მარტყოფის ინტელიგენცია და მთელი საზოგადოება გულითადის მწუხარებით გლოვობს ძვირფასი მამულიშვილის და დაუვიწყარი ქველმოქმედ ქართველის დ. ზ. სარაჯიშვილის დაკარგვას. მისის სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქმნა პანაშვიდი ს. მარტყოფის სობოროში. პანაშვიდის შემდეგ მღ. მ. კარბელოვმა გააცნო ხალხს მისი ბიოგრაფია და მისი ქველმოქმედება და უნატრა საქართველოს მრავალი მისთანა დაუვიწყარი ძვირფასი შვილის აღზრდა. გთხოვთ სხვა გაზეთებშიაც გადაბეჭდოთ.

საზოგადოების მინდობილობით მასწავლებელი **ბ. ზერიევი.**

დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის დასაფლავების წეს-რიგი.

ცხედარს საკუთარ სახლიდან (სერგიევის ქუჩა) გამოასვენებენ დღეს დილის 9 საათზე. კუბოს გამოიტანენ ნათესავნი და მეგობრები განსვენებულისა. წინ გაუძღვებიან წარმომადგენლები გვირგვინებითა და მებაირაღტრები, შემდეგ მგალობელთა გუნდები, სასულიერო წოდება, თვით ცხედარი, მეგობრები და ნათესავები, თავად-აზნაურთა და ქალაქთა წარმომადგენლები, სხვა სარწმუნოების სასულიერო წოდება, კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა წარმომადგენლნი, სარაჯიშვილის ქარხნებში მომუშავენი, დიღმელი გლეხები და ბოლოს ხალხი. ცხედარს წაასვენებენ სერგიევის ქუჩიდან სოლოლაკის ქუჩით—ერევნის მოედანზე, პატარა ლოცვის შემდეგ ბავთის თქმა ეკუთვნის ქალაქის წარმომადგენელთ: ქუთაისისას—ი. ჩიქოვანს და ტფილისისას—ა. არღუთინსკის. შემდეგ გზას განაგრძობენ შუა ბაზრისაკენ და სიონის ქუჩით სიონის ტაძარში. სობოროში შესვლა უბილეთოდ იქნება. სობოროში ცხედარს შეასვენებენ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენელნი. წირვის გამოსვლის შემდეგ ცხედარს კატაფალკაზე თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი დაასვენებენ. უკან იმავე გზით დაბრუნდებიან და სასახლის ქუჩაზე მისი სახლის წინ კიდევ წაუკითხავენ ლოცვას; აქ ბავთი ეკუთვნის მხცოვან მგოსანს **აკაკს** და ალ. მდივანს. იქიდან პროცესია გასწევს გოლოვინის პროსპექტით ვერის დაღმართით სახალხო სახლისკენ, სადაც ილაპარაკებს ჩხენკელი და წვრილ ვაჭართა წარმ., მერე მიხეილოვის პროსპექტით და მუშტაიდის ბაღით დიდუბის ტაძრისაკენ. კატაფალკიდან კუბოს გამოასვენებენ განსვენებულის მუშები და ამქრები. სამარესთან იქმნება წარმოთქმული ბავთა მუშების და წ.-კ. საზოგადოების მხრით. მწირველი არის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი.

† ყაზაროს ალაიანი

დღეს ჩვენი მეზობელი სომხის ხალხი სამუდამოდ ეთხოვება თავის ერთ საუკეთესო შვილთაგანს, რომლის ნაამგარითაც მთელი მოზარდი თაობა იზდებოდა, რომლის ღვაწლი დიდებული განძია სომხურ საყმაწვილო ლიტერატურის სალაროში. მით უფრო მძიმე უნდა იყვეს ასეთი ადამიანის დაკარგვა, რომ ყაზაროს ალაიანი ნამდვილი ხალხის შვილი იყო, და მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის სამსახურს შეალია. იგი დაიბადა 1840 წელს, სისტემატიური სწავლა განათლება არ მიუღია. თავის სოფელ ხაჩენიდან ჩამოვიდა ტფილისში და 10 წლისამ სტამბაში დაიწყო მუშაობა. მაგრამ სტამბაში დიდხანს არ დაჰყო. სწავლა-განათლებისადმი წყურვილი იმდენად დიდი ჰქონდა, რომ ბევრი დაბრკოლება გადალახა, სანამ სასურველ მიზანს მიაღწევდა. მალე პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც გულმოდგინედ შეუდგა სწავლა-განათლებას არც შიმშილი, არც სიცივე არ აშინებდა ამ სამაგალითო ადამიანს. ერთი მიზნით გატაცებული ალაიანი თავის მკერდით იკვლევდა ცხოვრების დაბურულ ტყეში ბილიკს და ფართო სახალხო გზას მიაღწია.

1862 წელს ალაიანი დაბრუნდა ტფილისს და საზოგადო მოღვაწეობაში ჩაება. სახელი გაითქვა როგორც პედაგოგმა, მაგრამ არა ნაკლებ სახელოვანია იგი, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ერთი სიტყვით მთელი მისი მოღვაწეობის რომელიმე ერთის დარგით შემოფარგვლა შეუძლებელია. პედაგოგი, პოეტი, ბელეტრისტი, საბავშვო მოთხრობათა ავტორი, ხალხური ლექსების შემკრები და გამომცემელი, სკოლების დამაარსებელი, ყველა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი—აი ის ასპარეზი, რომელზედაც 51 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იღვწოდა განსვენებული. თითქმის ყოველ სომხურ ჟურნალ-გაზეთში შეხვდებით მის წერილებს. იმისგან შედგენილი სახელმძღვანელოები კი საუკეთესოდ ითვლება აქამდის და არა ერთი და ორი თაობა ახალგაზრდებისა აღუზრდია, ამიტომ ჩვენ გულწრფელ თანაგრძნობას უერთებთ მეზობელ ერის მწუხარებას და განსვენებულის საუკუნო ხსენებას ვუძღვნით.

კახელ მევენახეთა საზ. „კახეთის" წევრთა კრება თელავში.

(დასასრული)

19 ივნისს სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვის შემდეგ, თავ. ნ. ი. **აბაშიძე** ეხება მათ მოქმედებას, რომ სარევიზიო კომისიას საქმის არსებით ე. ი. ვაჭრობის შესახებ არაფერი გაუკეთებია მის მეტი, რომ საქმის წარმოების და კასის რევიზია მოუხდენიაო. რაც შეეხება ვაჭრობის უკეთესად დაყენებას, ბაზრის გაფართოვებას და სხვა, ამაზე სიტყვაც არ უთქვამთ.

გამგე-დირ. **თ. ვაჩნაძე** ემხრობა ამ შენიშვნას.

მწვავე კამათს იწვევს წევრთა გამორიცხვის საკითხი.

გამგე-დირ. თავ. ვაჩნაძის აზრით უეჭველად საჭიროა წევრების გადარჩევა და ვისაც საერთო არაფერი აქვს ამხანაგობასთან, მათი გამორიცხვა; 164 კაცში, რომლებიც ამ ამხანაგობის წევრად ითვლება, ზოგს თავისი საკუთარი ვაჭრობა აქვს, ბევრს მოსავალი სრულებით აღარ შემოაქვს და სხვა.

კრების უმრავლესობა წინააღმდეგია წევრების გამორიცხვისა. წევრებად რომ ითვლებიან მართალია სარგებლობა არ მოაქვთ, მაგრამ ამით ამხანაგობა არცა ზარალობს, ჯერჯერობით კი საჭიროა ისევ წევრებად დარჩნენ. კრება ამ საკითხის გადაწყვეტას ნაადრევად სცნობს, მხოლოდ ისინი კი უნდა გამოირიცხნენ, ვისაც თავისი სავაჭროები აქვს გაღებული.

მიმდინარე წლის ხარჯ-აღრიცხვას ამტკიცებენ ცოტაოდენის ცვლილებით. მაგ. გამგე-დირექტორს ჯამაგირად დაენიშნა 3000 მან., ნაცვლად 2400 მანეთისა, სურვილი გამოითქვა მელვინეს ამ ამხანაგობის გარეშე საქმე არა ჰქონდეს, საქმის წარმოება და კორესპონდენციის ნაწილი უკეთესად მოეწყოს და სხვა.

ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს წევრების ყურადღება იმ გარემოებამ მიიქცია, რომ შარშანდელ საზოგადო კრებაზე გამგეობის თავმჯდომარეს თ. ს. რ. **ვახვახიშვილს** ჯილდო დაენიშნა და ეს ფული არა სჩანს დახარჯულად. გამგეობა მოახსენებს, რომ მას ეს ფული არ მიუღია და უსასყიდლოდ უმსახურნია.

კრება ხელ-ახლა ერთხმივ ადგენს ეთხოვოს თავ. ვახვახიშვილს მიიღოს შარშანდელი გადაწყვეტილი ჯილდო, მაგრამ თავ. ვახვახიშვილი მადლობას უცხადებს კრებას და კიდევ უარს ამბობს.

ამავე კრებაზე უნდა [illegible] გეობის ორი წევრი, მაგრამ რადგანაც საანგარიშო წელი ოქტომბერში თავდება, გადასდეს შემდეგ კრებამდე, რომელიც დეკემბერში უნდა მოხდეს. მხოლოდ მათ კანდიდატებად აირჩიეს გ. მ. **გუმყრელიძე** და ი. პ. **მგალობლიშვილი.**

საღამოს კრებაზე განიხილეს ორი საყურადღებო თხოვნა ღვინის მიმღებ **ყაზახაშვილისა და თელავის ბიბლიოთეკის გამგეობისა.**

ყაზახაშვილი 19 წელიწადია ყოფილა ღვინის მიმღებად, სინიდისიერად უსრულებია თავისი საქმე და ყოველთვის მადლობელნი ყოფილან მისით როგორც გამგეობა, ისე წევრები. დაწვრილშვილებულა, ოჯახში 9 სული ჰყოლია შესანახი, თვეში 50 მან. უღია და ამ წლის თებერვალში უცბად დაუთხოვნიათ.

თავ. ი. ჭავჭავაძე და ნ. აბაშიძე ცხად ჰყოფენ ყაზახაშვილის კარგ სამსახურს და თხოულობენ მის იმავე თანამდებობაზე მიღებას. ყაზახაშვილის ცოლი შესჩივლებს დამსწრეთ, რომ მათ შიმშილი მოელით და სთხოვს კრების მიღებას. კრება ერთხმივ სთხოვს გამგე-დირექტორს ყაზახაშვილი უკან მიიღოს იმავე ან სხვა თანამდებობაზე.

თელავის ბიბლიოთეკის გამგეობა აუწყებს რა კრებას, რომ ამ ამხანაგოპის წევრმა ვასილ გლურჯიძემ ამ რამდენიმე წლის წინედ შესწირა თელავის ბიბლიოთეკას 1000 მანეთი, ეს ფული გამგეობას უნდა ჩაებარებინა ბიბლიოთეკისათვის, მაგრამ მიუხედავად რამდენიმეჯერ გახსენებისა, აქამდე არ მიუღია და სთხოვს დაავალოს გამგეობას მიეცეს რაც შეიძლება მოკლე დროში ეს ფული ბიბლიოთეკას, თორემ იგი უკიდურეს მდგომარეობაშია და დღეს თუ ხვალ დაკეტვა მოელის.

კრება ავალებს გამგეობას დაუყოვნებლივ მიეცეს თელ. ბიბლიოთეკას ხსენებული 1000 მან. ერთად ან ნაწილ-ნაწილ მაინც.

კრება ამით დასრულდა.

დამსწრებული.

ქართული თეატრის გაუმჯობესობისთვის.

ჩვენი კულტურული დაწესებულებები უკლებლივ რაღაც მოჯადოებულ წრეში არიან მომწყვდეულნი. მათი არსებობის საკითხი ორ უმთავრეს წერტილის გარშემო ტრიალებს: თუ არსებობს ერთი მათგანი—არსებობს უთუოდ მეორეც.

„ჩვენი კულტურული დაწესებულებები არ დგანან სასურველ ნიადაგზე", „ჩვენს დაწესებულებებს არავითარი სახსარი არ მოეძევათ და დღე-დღეზე ბედად სცხოვრობენ". ეს ორი აზრი იმდენადაა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ძნელი გამოსაცნობია, რომელი რომლისაგან არის წარმომდგარი და დამოკიდებული. აი, ავიღოთ ჩვენი თეატრი... ერთი მხრით შეუძლებელია ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ

დავით სარაჯიშვილი*)

ულმობელმა სიკვდილმა ამ დღეებში მოგვტაცა ერთი იშვიათი ქართველი, დ. ზ. სარაჯიშვილი. ფართე საზოგადოება მას იცნობდა როგორც ქველმოქმედს და ყოველივე საზოგადო საქმის შემწეს და გულშემატკივარს. მაგრამ ყველას, ვისაც მასთან პირადი კავშირი ჰქონია, დამეთანხმება იმაში, რომ განსვენებული არ იყო ჩვეულებრივი ქველმომქმედი. ჩვეულებრივი ქველმოქმედება აგებულია პატივმოყვარეობაზე, თავის გამოჩენას, დამსახურების და სხვა ამგვარების სურვილზე. ქველმომქმედი ამბობს: აი, წაიღეთ ფული და მომშორდით თავიდანო. დავითი კი არ ეკუთვნოდა ამათ გუნდს. ის პირველ ყოვლისა სწუხდა ჩვენი მწუხარებით, სტკიოდა ჩვენი ტკივილები, ის სულით და გულით გადაგებული იყო საზოგადო საქმეზე. მისი სიყვარული ჩვენი ერისადმი მეტად ღრმა და გულწრფელი იყო. და ვისშიაც ეს უზენაესი გრძნობა ასე ღრმად ღვივის, ის კიდევაც ემსახურება ერს, ემსახურება ზოგი კალმით, ზოგი ხელოვნებით, ზოგი პრაქტიკული მოღვაწეობით, ვისაც როგორ შეუძლია. და აი განსვენებულიც ემსახურებოდა მას, რითაც შეეძლო—ქონებით. ის იყო პირველი ქართველი იდეიური ქველმომქმედი.

განსვენებულს იცნობდენ როგორც მრეწველს, მაგრამ ვეჭვობ ყველამ იცოდეს, რომ ის იყო პირველი ქართველი მრეწველი ევროპიული ტიპის. ერთხელ მან მითხრა: ძნელია ჩვენში ეკონომიურად წინ წაწევა; როგორც კი ერთი ცოტაოდენ ქონებას შეიძენს, ასი მშიერი უკან დასდევს და სანამ არ გახრავენ თავს არ დაანებებენო. ასეთ პირობაში მართლაც დიდი პრაქტიკული ნიჭია საჭირო, რომ ამ შემოსეულ ხროვას გაუძლო და შეძლება გონიერად მოიხმარო. დავითი რომ წმინდა ქართველი მრეწველი ყოფილიყო, კაი ხანია ქართველურად გაათავებდა—მისი შეძლებისაგან აღარაფერი დარჩებოდა. მხოლოდ ევროპიელ კაცს შეეძლო ყველა მადლიერი ჰყოლოდა და თანაც შეძლება არ გაეფლანგა. შეაერთეთ ქართული გულკეთილობა და პურ-მარილი ევროპიულ საქმიანობასთან და მიიღებთ დ. სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპიელობა. და მე მგონია ქართველის გაევროპიელობა სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს. როცა თვითეული ჩვენგანი ისწავლის ევროპიულ მუშაობას, ევროპიულ საქმიანობას და თან თავის ნაციონალურ ხასიათს არ დავკარგავთ—ჩვენი გაევროპიელება ფაქტი იქნება. დ. სარაჯიშვილი პირველი ქართველი ევროპიელი იყო.

განსვენებული იყო არა მარტო ევროპიული მრეწველი, არამედ ამასთანავე ევროპიულად განათლებულიც. ჩვეულებრივად ევროპიელი მრეწველი განათლებულიც არის, მაგრამ იშვიათია იქ ისეთი მრეწველი, რომელიც, გარდა გაზეთებისა, ლიტერატურასაც თვალყურს ადევნებდეს და საზოგადოების მოწინავე ნაწილის სულის კვეთებას ფეხდაფეხ მისდევდეს. და სწორედ ამ იშვიათ გამონაკლს ეკუთვნოდა დავითი. როცა პირველად მასთან მავედი (ეს იყო 1898 წ.) გაშტერებული დავრჩი მისი ბიბლიოთეკით. რა და რა წიგნებს არ ნახავდით აქ. აქ მოიპოვებოდა უმთავრესი თხზულებები გერმანიის ცნობილი ეკონომისტებისა და ისტორიკოსების ზომბარტი, შმოლლერი, მარქსი, ვაგნერი, კაუცკი, ბიუხერი, ენგელსი და სხვა მრავალნი აქ პოულობდენ ბინას და მკითხველს. მას მოსდიოდა კაუცკის ჟურნალი „ნოიე ცაიტ" და ვენის პროგრესისტთა ორგანო „ცაიტ". აქვე ეგდო ნაუმანის „ჰილფე", რომელიც იმ დროს დიდ მითქმა-მოთქმას იწვევდა მთელს გერმანიაში. ის საინტერესო წიგნს ეკონომიური და პოლიტიკური დარგიდან არ უშვებდა გამოუწერელს და წაუკითხავს. ერთხელ ბულვარზე შემხვდა და შორიდან დამიძახა: დახე ეს თქვენი ბერნშტაინი რა ამბავშია! მოდი წაიღე წაიკითხე. წიგნი ახალი გამოსული იყო და ტფილისში არ იშოვებოდა. მეორე დღეს მივედი დავითისას და წიგნი გამოვართვი—თქვენი აზრი? შევეკითხე მას.— ჩემი აზრი? ეს დიდი ბომბა გასკდა გერმანიაში. მთელ წიგნში ერთი ადგილი მომწონს, სადაც სწერია. Bewegung ist alles, Endzieh ist nichst—მოძრაობა არის ყველაფერი, საბოლოვო მიზანი არაფერი! ეს კარგად არის ნათქვამი, სოციალიზმი იქნება თუ არა ვინ იცის. ნეტავი იქნებოდეს, სამაგიეროდ ამოდენა ლატაკთა შეკავშირება და მათი ამოძრავება—ეს ფაქტია და შესანიშნავი ფაქტიაო. ერთხელ დავითი ვნახე კითხულობდა კაუცკის ახალ წიგნს „სოციალიზმის ისტორიის" მეორე ტომს. როგორც მითხრა, მას ბერლინის ერთ წიგნის მაღაზიაში დაბარებული ჰქონდა—გამოეგზავნათ მისთვის ცნობილი ეკონომისტების ახალი წიგნები. ის მთავარ ეკონომიურ და ისტორიულ კითხვებში ეთანხმებოდა მარქსს, ხოლო პოლიტიკურში კი ვაგნერს და შმოლერს. ის ამბობდა (თანახმად შოლერისა): საჭიროა მძლავრი მთავრობა. ის უნდა დაეხმაროს სუსტთ მძლავრთა წინააღმდეგ საარსებო ბრძოლაში. ჩვენში ქართველი ერია ძლიერ სუსტი, მაშასადამე ის საჭიროებს განსაკუთრებით დახმარებას მთავრობის მხრითაო. ამითი აიხსნება დავითის კავშირი ველიჩკოსთან. ამ ვაჭრატონმა, რასაკვირველია, არ გაამართლა დავითის და სხვების იმედი, მაგრამ იმ მთავარ აზრს—რომ ქართველობა საჭიროებს რაიმე განსაკუთრებულ ძალას ფეხზე წამოსაყენებლად—დავითი ბოლომდის შერჩა. ქართველობას რა ეშველება—აი მისი მუდმივი სალაპარაკო და საზრუნველი. განსვენებული მუდამ სწყუროდა ცოდნის შეძენა, ახალის გაგება. თითქმის ყოველ წელიწადს ბერლინში ვაგნერის ლექციებს ყურს უგდებდა. (ვაგნერი მისი მეგობარი იყო). ხშირად მინახავს ბერლინიდან დაბრუნებული და ბავშვივით აღტაცებული ვაგნერით. ერთხელ მითხრა ვაგნერი იყო აქ, ჩვენში და იცი რა მითხრა? საქართველოს კულტურა მეცამეტე საუკუნის კულტურააო, ასეთი ქალაქები და სოფლები გერმანიაში მე ექვსი საუკუნის წინ იყოვო. ამ აზრს დავითზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა და ის გაიძახოდა: ჩვენი საქმე წასულია, რანაირად მოვეწევით მოწინავე ერებსო.

ერთი სიტყვით განსვენებული ამ ათი წლის წინათ ერთად ერთი ქართველი იყო ტფილისში, რომელიც უცხოეთის მოწინავე მწერლობას თვალ-ყურს ადევნებდა, იწერდა და კითხულობდა.—ხომ იცი

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგანაც ჩვენის მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს ბ-ნ ნ. ჟორდანიას აზრი დავით სარაჯიშვილის პიროვნებაზე.

რედაქცია.

თეატრი არ აკმაყოფილებს ჩვენი ინტელიგენციის, ასე თუ ისე, განვითარებულს გემოვნებას და ამიტომაც გულ-გრილად ეკიდება მას; მეორე მხრით კიდევ, რადგანაც თეატრი მატერიალურად არ არის უზრუნველყოფილი, იგი ვერ დამდგარა ხელოვნების მხრით სასურველ ნიადაგზე. უნდა ძალდატანებით გაირღვეს ეს წრე, უნდა ერთი სათვალყურო ადგილიდან გადავავლოთ თვალი მის აწმყოს და გავითვალისწინოთ სასურველი მომავალი.

ამ თავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც დრამატიული საზოგადოების ანგარიშიდანა სჩანს, კარგა მოზრდილი ბიუჯეტი ჰქონია საზოგადოებას, ასე რომ ამ თანხითაც შეიძლება თეატრის უკედ მოწყობისათვის ვიზრუნოთ.

დრამატიული საზოგადოების კრებაზე ყურადღება მიაქციეს საწევრო გადასახადის სიდიდეს და კრებამ კიდეც გადასწყვიტა შემციროს იგი. ჩემი აზრით ძლიერ გადაჭარბებული იმედებისა არიან ისინი, რომელნიც ფიქრობენ, ვითომ საწევრო გადასახადის შემცირებით წევრებს იშოვნიან და ამით შემოსავალი საგრძნობლად გადიდდება. თუ წევრობასთან ის მოვალეობანიც დარჩებიან, რომელნიც ახლა შინაურულად არსებობენ, ტყუილად იმედი არ უნდა ვიქონიოთ გადასახადის შემცირებით შემოსავალი გავადიდოთ. საქმე იმაშია, რომ წევრთა სიმცირის ერთი მიზეზთაგანი ყოველთვის დარჩება; იგი ჩვენ სურვილს და გადაწყვეტილებას არ ექვემდებარება. ეს გახლავთ ჩვენი საზოგადოების სიმცირე და აქიდან ის მოვლენა, რომ თითოეული ჩვენი საზოგადოების წევრი თითქმის ყველა დაწესებულების წევრია და ამრიგად წელიწადში კარგა მოზრდილი გადასახადი უგროვდება მას. ამასთანავე აღსანიშნავია ის არა სასურველი წესი, რომ მაგალ., დრამატიულ საზოგადოების წევრი თითქმის ვალდებული ხდება წარმოდგენების ბილეთები თითონაც იყიდოს და ხშირად ნაცნობებშიაც გაასაღოს და ეს კი ძლიერ აფრთხობს ადამიანს. ერთი სიტყვით, ეს სალსარი ისეთი უმნიშვნელო იქნება ყოველ საუკეთესო შემთხვევაშიაც და მისი იმედი არ უნდა გვქონდეს.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი ინტელიგენცია ნაკლებად ესწრება ქართულ წარმოდგენებს, აქაც ჩემი აზრით ძლიერ აჩქარებული აზრი იქნება, ეს მოვლენა ინტელიგენციის გადაგვარებით ავხსნათ. ამას წინად სრულიად უცაბედად ჩამივარდა ხელში ა. ჯორჯაძის 1910 წ. 13 ოქტომბერს დაწერილი წერილი, სადაც პატივცემული პუბლიცისტი სცდილობს ახსნას ჩვენი საზოგადოების გულგრილობა კერძოდ ქართულ პრესისადმი. იგი აღნიშნავს, რომ ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობაში საზოგადოებრივი საქმეები არავის აინტერესებს, ყველას სიამოვნება, ქეიფი და დროს გატარება სურს და ამიტომაც სძულთ ის არსება, რომელიც ამ დროს პრინციპებზე, საზოგადოებრივ ინტერესებზე და სერიოზულ საკითხებზე ებაასება. მართალია, ცხოვრებამ მოგვღალა და ჩვენ უფრო სიამეს ვეტრფიალებით, მაგრამ ამ აზრის გაზვიადებაც არ შეიძლება. შეიძლება არსებითად იგი მართალიც იყოს, მაგრამ მთელი დიადი მოვლენის მხოლოდ ამით ახსნა შეუძლებლად მიმაჩნია. ამავე დროს ჩვენ უნდა ანგარიში გავუწიოთ იმ სინამდვილესაც და გულახდილად ვაღიაროთ, რომ ქართულ პრესას საქველმოქმედო მოსაზრებით თუ ვკითხულობთ და თეატრსაც ამ მიზნით თუ ვუჭერთ მხარს, თორემ იქ არაფერი ისეთი არ მოიძევა კარგა ხანია, რაც ან გულს რასმე ეუბნებოდეს და მით უმეტეს გონებას რასმე მატებდეს.

ნუ თუ მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ქართულ წარმოდგენებზე ვერც ენას გაიგონებთ წმინდად დაცულს, ვერც კილოს! ამასთან ხელოვნებაც ხომ ძლიერ კოჭლობს და რა გასაკვირველია განვითარებულ გემოვნების ინტელიგენტს იგი ვერ აკმაყოფილებდეს. ამ ნაკლის აცდენისათვის ჩვენ მარტო ეკონომიურს მხარეს არ უნდა ვაქცევდეთ ყურადღებას. უპირველეს ყოვლისა უნდა ყურადღება მიექცეს თვით ხელოვნებას, დააყენეთ ხელოვნება ღირსეულ ნიადაგზე და ფულები თავის-თავად მოვლენ. მგონია ორმოცდა-ათ წელზე მეტია არსებობს ჩვენში თეატრი და ჯერაც კი ოთხიოდე ძველი არტისტის გარდა არა გვყვანან ისეთნი, რომელნიც მთელი თავისი ძალ-ღონით სცენისა იყვნენ. ჩვენში არტისტობა და სცენა ერთი მხრით უსაქმურთა საქმედ გამხდარა და მეორე მხრით სხვა, უმთავრეს საქმით დატვირთულთათვის თავისუფალი დროს გასატარებელია. ეს კი იმიტომ ხდება, რომ როგორც საერთოდ ჩვენი ყოველივე საზოგადო მოღვაწეობა მხოლოდ სიღატაკეს უქადის და დაუსრულებელ ქველმოქმედებას ითხოვს მისგან (არა ფულით მარტო), აგრეთვე სცენის მოსამსახურე არ არის სრულიად უზრუნველყოფილი და იგი იძულებულია ამ საქმეს სხვათა შორის ემსახუროს.

აქედან წარმოდგება ჩვენი არტისტების ყბად-აღებული როლის უცოდინრობა: მსახიობს ვერ მოუცლია როლის სასწავლად. ორიოდ გამონაკლისის გარდა ჩვენი მსახიობები ვერ გვისურათებენ რომელიმე რთულს პიროვნებას და ანსამბლიც არას დროს საშუალოს არ აღემატება; ესეც იმიტომ, რომ განუვითარებლობის გარდა იმას არც უნარი აქვს და არც მოვალეობა პიესისა და როლის შესასწავლად. არტისტი თუ გამსჭვალული არ არის თავისი როლით, თუ მას ზედ-მიწევნით არ აქვს შესწავლილი მთელი პიესის ეპოქა, ისტორიული პერსპექტივა და ტიპის ფსიხოლოგიას არ ჩასწვდომია, მისი თამაში არასდროს ბუნებრივი არ იქნება. ასეთი არის უმეტესობა ჩვენი მსახიობთა და ამიტომაც ემჩნევა ერთგვარობა მათ თამაშს. გამიგონია, დიდი ნიჭის ბუმბერაზი არტისტები სანამ ყოველ მხრით არ შეისწავლიდნენ პიესას, სცენაზე არ გამოდიოდნენო და ამიტომაც ჰქმნიდნენ ისინი, ამიტომაც აცოცხლებდნენ დრამატურგისაგან აწერილს პიროვნებას. ამ წესს ადგას მოსკოვის სამხატვრო თეატრი და ხომ ხედავთ, რა თითით საჩვენებელი შეიქნა იგი მთელს ევროპაში. უნდა არსებობდეს ჩვენშიაც ერთი სერიოზული თეატრიც, სადაც ნამდვილი არტისტები უნდა იყვნენ და არა სცენის მოყვარენი. უნდა უზრუნველყოფილიყოს, რომ მთელი თავისი ენერგია და გულის ყური თეატრს შესწიროს, თუ გვინდა თეატრი გვქონდეს. ამისათვის აუცილებლად თეატრს უნდა ჰქონდეს მუდმივი თანხა არტისტებისათვის და ამასთანავე უნდა დაარსდეს კასსა, რომელიც არტისტს მომავალსაც საზრუნველს არ გაუხდის.

რაც შეეხება კარგს არტისტებს და მათგან გაბრწყინვებულ ხელოვნებას, აქ პირველ რიგში უნდა შევეხოთ ქართულ დრამატიულ სკოლის საჭიროებას. ჩვენ საზოგადოებაში მგონია ასეთი სკოლის საჭიროება ყველასაგან აღიარებულია. მისი გეგმის დაწვრილებითი განხილვას აქ არ შეუდგებით, მხოლოდ ეს იმდენად სერიოზული საკითხია, რომ მის გადაწყვეტას არ უნდა ავუჩქარდეთ. სადაც ამდენი ხანია უსკოლოდ გვიდოღიალებია, თეატრის ზედ იღბალი, დეე ხუთი-ექვსი წელიწადიც ზედ მიემატოს. საქმე იმაშია, რომ სანამ სკოლა დაარსდებოდეს, მისთვის ნიადაგი უნდა მომზადდეს.

სკოლა თავიდანვე სასურველ ნიადაგზე უნდა იქნას დაყენებული, რომ შემდეგ არ მოგვიხდეს დარღვეულებზე ჭრელი ნაჭრების დაკერება, როგორც ეს თითქმის ყველა ჩვენს საზოგადო საქმეს ემართება. თუ ყოველს საზოგადო საქმეს ესაჭიროება სერიოზული განათლება და ფართო განვითარება, ეს ორწილად უფრო ესაჭიროება არტისტს, თუ მას არ სურს მიაღწიოს განვითარების ერთ საშუალო წერტილს და იქ გაიყინოს. სანამ თეატრს სათავეში განათლებულნი და ხელოვნებაშიაც გაწვრთნილნი პირნი არ ჩაუდგებიან, მანამ ჩვენი თეატრი საზოგადოებას ვერ მიიზიდავს, თუნდ 60 ათასიც დაიხარჯოს და გარეგნულად საქმე ბრწყინვალედ მოეწყოს. ათისი ნიჭიერი იყოს არტისტი, თუ მას სერიოზული სკოლა არ გაუვლია დრამატიული ხელოვნებისა, იგი ვერ შექმნის სერიოზულ თეატრს, თუმცა შეიძლება ნიჭმა პირადად მის სასარგებლოდ საზოგადოებაში მაინც გზა გაიკვლიოს. აბა, მოიგონეთ რამდენჯერ დამტკბარხართ ჩვენი ნიჭიერი არტისტების თამაშით; მართალია იყო მომენტი, როდესაც ესთეტიური სიამოვნებას განიცდიდით. მაგრამ ამასთანავე ცხადი იყო, რომ საერთო აზრი თამაშში არ იყო და მხოლოდ ნიჭი იფეთქებდა ხოლმე დრო, გამოშვებით. ხშირად გამიგონია ასეთი აზრი: რა ვუყოთ, შალიაპინიც უბრალო, გაუთლელი მაწანწალა იყო, მაგრამ ნიჭმა თავისი გაიტანაო. დიაღ, ნიჭმა თავისი გაიტანა, რადგანაც მას მისცა შეძლება ვრცელი განვითარება და განათლებაც კი მიეღო. ენერგია, შრომის და ცოდნის მოყვარეობაც ნიჭია და ვაი იმ ნიჭიერს, რომელსაც ეს სიკეთე არა სჭირს. ერთი სიტყვით მომავალ ქართული დრამატიული სკოლისთვის ჯერ უნდა განათლებულნი და განვითარებულნი ხელოვანნი მასწავლებლები უნდა დამზადნენ. ამ მიზნისთვის უნდა მოსკოვს ან პეტერბურგს გაიგზავნოს რამოდენიმე განათლებული ახალგაზრდა დრამატიული ხელოვნების შესასწავლად. თუ არ აღმოჩნდებიან უკვე უმაღლეს განათლება მიღებულნი, საშუალო სასწავლებელი მაინც უნდა ჰქონდეს დამთავრებული და ნიჭთან ქართულ ენის სერიოზული ცოდნაც სავალდებულო უნდა იყოს იმათთვის, ვინც კურსებზე გაიგზავნებიან. მანამდის კი ჩვენ არ მოგვეძევა ისეთ ადამიანი, რომელსაც ქართული დრამატიული სკოლაში მასწავლებლობის მინდობა შეიძლებოდეს.

დრამატიული საზოგადოების გამგეობა მხოლოდ ადმინისტრატიული ფუნქციების აღმასრულებლად გადაქცეულა, მაშინ როდესაც, რახან თავისი საკუთარი დასი ჰყოლია, ყურადღება უნდა მიექცია რეფერატებისათვის, ლექციებისათვის, უნდა გაერჩიათ და შეესწავლათ დასადგმელი პიესები და სხ. და სხვ. ეგებ სთქვათ: ეს არ შედის გამგეობის კომპეტენციაშიო, მაგრამ ამით საქმე მაინც არ იცვლება. სულ ერთია ამას ვინ შეასრულებდა, მხოლოდ დრამატიული საზოგადოება პირდაპირ ხელოვნების აღორძინებას უნდა ემსახურებოდეს.

დასასრულ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ ერთს გარემოებასაც, რომელიც დრამატ. საზოგადოების კრებებზე წარმოითქვა და რომელსაც თითქმის ყველა თანაუგრძნობს: თეატრი დემოკრატიას, დაბალ ხალხს უნდა დავუახლოვოთო. რასაკვირველია, დაბალ ხალხსაც უნდა საშუალება მიეცეს თეატრში სიარულისა, მაგალ., თეატრის გაიაფებით, მაგრამ აქედან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს თეატრის „გადემოკრატების“ საჭიროება. მე საერთოდ არ მესმის ხელოვნების გადემოკრატება. პირიქით „დაბალი ხალხი“ უნდა ამაღლდეს ხელოვნებამდე და არა ხელოვნების განვითარება ამ ხალხის გემოვნებას დაექვემდებაროს. მერწმუნეთ სამხატვრო თეატრი რომ ცდილიყო საზოგადოების გემოვნებას შეგუებოდა და არა თითონ თითქმის ძალად მოედრიკა იგი თავის წინაშე, იგი ახლაც ჩვენი თეატრის მსგავსი იქნებოდა და ვერ შესძლებდა მთელ ევროპაში მისაბაძი გამხდარიყო. უნდა არსებობდეს საზოგადოების გემოვნების გარეშე თავისთავად ძლიერი დასი, რომელსაც უნდა მიჰყავდეს საზოგადოება სულ სხვა საკითხია დასის ინტერესები ხელოვნების მხრით და სულ სხვაა მისი უზრუნველყოფა. როგორ უნდა განვითარებულიყო ლექსთა წყობა, რომ ისევ ის ფორმები გვეხმარა, რომელნიც ერთხელ მოგვეწონა და მსუბუქ ლექსთა-წყობად მიგვაჩნია.

ამნაირად თავდაპირველად უნდა რამოდენიმე განვითარებული და საქმის მოსიყვარულე ახალგაზრდა გაიგზავნოს სასცენო ხელოვნების შესასწავლად, რომ გვეყოლონ სკოლისათვის მასწავლებლები.

ახლახან ყურადღება უნდა მიექცეს არტისტების ყოფა-ცხოვრებას; იყოლიოს პატარა მუდმივი დასი განსაზღვრულ ჯამაგირებზე; დაარსდეს დამხმარებელი კასა და სანამ პიესას არ შეისწავლიან არ ითამაშონ.

ეს ის აუცილებელი ზომებია, ურომლისოდაც თეატრი ვერ დადგება სასურველ ნიადაგზე და რომელთა შესრულების შემდეგ შეიძლება კიდევ გადავდგათ ნაბიჯი უკეთესობისაკენ. **ს. დადიანი.**

ხმა სურამიდან

თიბათვის პირველ რიცხვებიდან საგრძნობლად შეიცვალა სურამის ცხოვრება. საკმარისია ჯერ ის ითქვას, რომ ურიცხვი მოაგარაკე მიაწყდა სურამს. კავკასიის კუთხე არ დარჩენილა, რომ სიცხით შეშინებული მცხოვრებნი აქეთ არ გამომგზავრებულიყვნენ. ამას მიუმატეთ 7 პოლკი ქვეითა ჯარისა საზაფხულოდ ჩამოსული ქუთაისსა და ბათომიდან და ადვილად წარმოიდგენთ, რომ ქალაქური ცხოვრება გაჩაღდა სურამში. აქ ათასგვარი გასართობია მოწყობილი. საკმარისია დავასახელოთ ნოდიასეული პარკი, კლუბი, ორი სკეტინგ-რინკი, ახლად ჩამოსული ცირკი, დრამატიული დასი და სხვა და სხვა, რომ ნათელი იყოს, რომ მოაგარაკენი ამგვარ პირობებში მათ საագარაკოდ წამოსვლის მიზანს—დასვენებას—ვერ მიაღწევენ.

მოაგარაკეთა სიმრავლესთან დაკავშირებულია სახლების და სანოვაგის სიძვირეც. მართლაც სურამელებმა ეს სიმრავლე მოაგარაკეთა იმაში გამოიყენეს, რომ მეტად აუწიეს ფასს და წარმოიდგინეთ, ასეთ პირობებში, საქათმეებიც კი გაქირავდნენ. ასეთივე სიძვირეს ვამჩნევთ სანოვაგის ყიდვაშიაც. ისე, რომ სახლის პატრონებიც და ვაჭრებიც დიდ სარფას ჰნახავენ ამ ზაფხულიდან. სულ უკანასკნელი რომა ვსთქვათ, ამ ზაფხულს სურამს დაუტოვებენ საზაფხულოდ მოსულნი და ჯარი 70-80 ათას მანეთს, რაც მცირე რიცხვიან სურამისათვის მეტად დიდი ფულია.

ასეთია სურათი სურამის ცხოვრებისა. მიუხედავად ამ სიძვირისა, სურამისთვის პლიუსად ის ჩაითვლება, რომ ადგილობრივი ქართ. დრამატ. საზოგადოება გაისარჯა და ჩვეულებრივ წარმოდგენების უსისტემოდ მართვის ნაცვლად მოიწადინა სერიოზულად მოჰკიდებოდა საქმეს და დეფექტის გასასწორებლად მოიწვია მსახიობი ნ. გვარაძე, რომლის ხელმძღვანელობით სისტემატიურად გამართავენ წარმოდგენებს. კარგად დადგმული წარმოდგენა კი მოაგარაკესათვის სოფლად რამეს წარმოადგენს. მარტო ამით არ განისაზღვრა ქართ. დრამ. საზ. სისტემატიური დასის შედგენის მნიშვნელობა. დას შეუძლიან მართოს რა იაფფასიანი წარმოდგენები ადგილობრივ დაბალ მკვიდრთა შორის შეიტანს ნათელს. ამ აზრით კი საჭიროა მარტივად დაწერილის და ორიგინალურის პიესების ხშირ-ხშირად დადგმა სცენაზე.

მოაგარაკეთა შორის მრავალი ჩამოითვლება უმაღლეს და საშუალო სასწავლებელის მოსწავლენი. აი სწორედ მათ ზაფხული მუქთად არ უნდა გაატარონ. ჯერ არის და წარმოდგენის მართვაში შეუძლიათ მიიღონ ახლო მონაწილეობა, რითაც დიდ სარგებლობას მოიტანენ, მეორე მხრივ სამკითხველოს აწეწილ საქმეს რამე უნდა უღონონ. უწინარეს ყოვლისა მოაწყონ მორიგეობა სამკითხველოში და ჟურნალ-გაზეთების გამრავლებასაც შეეცადნენ გამართულ წარმოდგენებიდან, ლექციებიდან შემოსულ ფულით. ამ უკანასკნელთა გამართვა ახალგაზრდობას არ გაუძნელდება, რადგან საამისო ძალები სურამში მოიძებნება. ერთი რამესთვის მსურდა მიმექცია ახალგაზრდობის ყურადღება: დიდი ხანია სურამში ცდილობდნენ საკვირაო საკითხავების (რასაკვირველია უფასო) მოწყობას, სადაც სალიტერატურო ნაწარმოებთა თუ პოპულარულ სამეცნიერო წიგნებს მდაბიო ხალხს წაუკითხავდნენ. ამის მოწყობასაც დიდი ოფლის ღვრა არ უნდა და გულწრფელ სურვილებისამებრ ადვილად მოხერხდება.

ქოსა.

წერილი ხონიდან

„აბრეშუმის პარკი“, „პარკის ფასი“ აი ის სიტყვები, რომლებიც დღეს ყველას ენაზე აკერია. პარკის შესახებ ლაპარაკობს დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გლეხი და თავადი. პარკის სუნით ამ ჟამად ჰაერიც კია გაჟღენთილი. ვინ მოსთვლის, ვინ რას მოელის პარკისაგან. პარკიც ბევრი შემოაქვთ, იმდენად ბევრი, რომ ურმებ-დროგების მისვლა-მოსვლას გზას ვერ აუქცევთ. აბრეშუმის პარკის გაყიდვა არა ჩვეულებრივ მოძრაობას ჰქმნის ხონში. ადგილობრივ ვაჭრებს სეზონი დაუდგათ, მიძინებულ ვაჭრობას გამოცოცხლება დაეტყო, მათ დაცარიელებულ დუქნებში დღეს ხალხის მოძრაობაა. დღეს გლეხი ხელგაშლილია და პურმარილიანობას გულუხვად იჩენს. მოვალეებს თავიდან იცილებს, სახელმწ. ხარჯებს ისტუმრებს, ტან-ფეხს იმოსავს და წუთით მაინც კარგ საჭმელს მიირთმევს. მხიარულია ამ დროს ხონის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრები გლეხები. არ მხიარულობს და ამ საერთო ლხინში მონაწილეობას არ ღებულობს მხოლოდ ისინი, ვისაც აბრეშუმის ჭიამ უღალატა და წაუხდა. იმათ ოჯახში ქრისტე ტირილია, ოჯახის წევრთა გოდებას საზღვარი არა აქვს.

მხიარულობენ ვაჭრები იმ გლეხებთან ერთად, რომელი გლეხებიც აბრეშუმის ჭიამ ცარიელზე არ დასვა. რისთვის არ იმხიარულებენ: ვაჭრობა გაჩაღებული აქვთ და უვარგის საქონელს ბაზარი გაუხსნეს. არა ნაკლებ ლხინ-ზეიმს ეწევიან ჩარჩბაცაცებიც. იმათაც კარგი დრო დაუდგათ. მათი სამოქმედო ასპარეზი მეტად ფართოა. ტკბილ-ტკბილ სიტყვებით საწყალ ხალხს ატყუებენ როგორც წონაში, ისე ანგარიშ-

---

გერმანიაში ერთ დროს იყვნენ „გრძნობის სოციალისტები“, მითხრა მან 1898 წ., ახლა მასარიკი სწერს „ცაიტ“-ში, რომ ამ 30 წლის წინ ჩეხიაში ყოფილან gefuls patrioten, („გრძნობის პატრიოტები“) ჩვენ კი დღესა ვართ ასეთ ხანაშიო. ეს შენიშვნა მე ისე მომეწონა, რომ მეორე კვირაში „კვალში“ დავბეჭდე წერილი „რომანტიკები“. ამავე წელს დავითისას მიწვეულნი იყვნენ სადილად ჩვენი საზოგადო მოღვაწენი, ილია ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე და სხვანი. ამათ შორის ვიყავი მეც. დავითმა ბაასი დაიწყო ერთ ჩემს სტატიაზე ქალაქის მნიშვნელობის შესახებ.—ეს ათი წელიწადია ამას ვეუბნები ამათ, გაიშვირა ხელი ილიასაკენ, მაგრამ არ ესმით...—ახლა დაიწყე შენ ერთი შენებურად, მოუჭრა ილიამ. 1900 წ. „კვალში“ დიდი პოლემიკა იყო გამართული. მაინტერესებდა დავითის აზრი.—ჩემი აზრი? უნდა იცოდე შენა. სოციალიზმი ხომ ღარიბი ხალხის ფილოსოფიაა, ჩვენი ხალხისთანა ღარიბი ქვეყანაზე არ არის, ის სწორედ თქვენკენ წამოვა, მოკლედ მოსჭრა მან. ერთხელ მის კანტორაში ის ძლიერ დაღონებული ვნახე, დაღონება კი იშვიათად იცოდა. რა ამბავია, შევეკითხე.—ჩვენ მერმისი არ გვაქვს, დაიწყო მან, შენ ამბობ წვრილი ბურჟუაზია მსხვილს წარმოშობსო, მე კი ამას ვერ ვხედავ, ამისათვის საჭიროა სამოქალაქო კულტურა, ჩვენ კი სოფლელები ვართ. ჩვენებური წვრილი ვაჭრობის მიზანია ორიოდე გროში იშოვოს, ჩერქეზულად ჩაიცვას, ლეკური და ხანჯალი დაიკიდოს, „კნიაზი“ გახდეს და თავისი მეზობლები ფულის ხარჯვით გააკვიროს. სომხის მიზანი სულ სხვაა, ის ფულს ფულზე აწებებს, რომ ერთ დროს „კუპეცი“ შეიქნეს, კლუბში ჩაეწეროს, ხმოსნად გავიდეს—ერთი სიტყვით მოქალაქედ გადაიქცეს.—გამოდის რომ ძველი იჭერს ახალს, ვუპასუხე მე—იჭერს რომელია, სამარისაკენ მიგვათრევს, მომიგო მან. განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს დავითმა აღფრთოვანებით მითხრა: ქართველები რევოლიუციის გვარდიათ გახდა... მაგრამ რევოლიუციით ხალხი ვერ იცხოვრებს, ცხოვრებისათვის შრომაა საჭირო, შრომა კი არ ვიცით და არც გვინდა ვიცოდეთ. ქართველს მეომარის ტრადიცია აქვს, ის რევოლიუციაში ისე მიდის, როგორც წინედ მიდიოდა ომში ან ჯირითში. კულტურას კი მუშაობა ჰქმნის. თუ ამ მოძრაობამ მუშაობა გვასწავლა — დიდი საქმე იქნება. ერთი წლის შემდეგი მითხრა: მარქსისტებმა დაივიწყეთ მოძღვრების დედააზრი, ეკონომია ხომ პოლიტიკის საძირკველია, თქვენ კი ლამის გადაყვეთ პოლიტიკას, ახლა დროა ეკონომიურ ორგანიზაციასაც მიაქციოთ ყურადღებაო. შემდეგი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ მას სახეში აქვს კოოპერაციების დაარსება. მე წინადადება მომცა წავსულიყავი მისი ხარჯით იტალიაში, შემესწავლა კოოპერატიული მოძრაობა განსაკუთრებით სოფლად და შემდეგ ამ საგანზე, მეწერა. მე რასაკვირველია, ამის წინააღმდეგი არაფერი მქონებია, მაგრამ მაშინ, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ვერ მოვახერხე. *) ერთი დიდი საქმე გააკეთეთ, ამბობდა დავითი, და განსაკუთრებით ამიტომ თანაგიგრძნობთ; თქვენ ჩვენი ბეჩავი ხალხი შეაერთეთ და ერთად სიარული ასწავლეთ. გახსოვს ბერნშტეინი,— Bewegung ist alles...

საზოგადოდ, დავითში შეერთებული იყო ფხიზელი გონება და მაგარი ხასიათი. ის მუდამ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. მას არ უყვარდა გრძელი ლაპარაკი, თავის აზრს ხატავდა მოკლეთ, სხარტულად, ერთი საგნიდან მეორეზე გადადიოდა, მეორიდან მესამეზე და რაღაც ხუთი წუთის განმავლობაში იმდენ კითხვას აღძრავდა, იმდენ საგულისხმოს იტყოდა, რომ გაკვირებული ვრჩებოდი. და ეს მუდამ ყოველ ნახვის დროს. მიყვარდა მასთან საუბარი. ხშირად მინატრია მისი ჯანმრთელობა, და როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეს ბუმბერაზი ასე უცებ მოსწყდებოდა და დღეს კუბოში იდებოდა. მართლა უთქვამს პოეტს: ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი.

და აი ასეთ იშვიათ ადამიანს ვაბარებთ დღეს მიწას. მოკვდა ისე როგორც ცხოვრობდა—ხელგაშლილად და გულგაშლილად. მშვიდობით, ძვირფასო დავით! ხსენება შენი საუკუნოდ დარჩება ჩვენში.

ნ. ჟორდანია.

---

¹) ეს მოვიყვანე სისრულეში შარშან, იტალიაში დავრჩი რვა თვე და დიდი კმაყოფილი დავრჩი იმით, რაც იქ ვნახე. სამწუხაროდ, ავადმყოფობის მიზეზით დღემდის ვერ დავამუშავე ის საინტერესო მასალები, რომელიც იტალიის სოფლებში მოვკრიბე.

შიაც. ხალხის ნამდვილ მოკეთეებს ნაკლებ ვხვდავთ. დღეს ყველას ის უნდა, რომ ხალხის დღევანდელ მდგომარეობით ისარგებლოს. არავინ არა ჰშველის ხალხს ამ გაჭირვების დროს, არავინ არა სცდილობს, რომ ხალხი არ მოსტყუვდეს, როგორც წონაში, ისე ანგარიშში. პარკის ყიდვა-გაყიდვის დროს მრავალი უწესრიგობა ხდება. ამ უწესრიგობას ვრცლად შემდეგ შევეხები. პარკის მაზანდა ასეთია: კარგი პარკი იყიდება თუ თეთრია 16 მან. 80 კაპ., თუ ყვითელი 17 მან. მდარე ხარისხის პარკი კი 15—16 მანეთამდე.

აქილეხი.

მოწერილი ამბები

სოფელ ნაქალაქარში მცხოვრებთ ნადირაშვილს (გუგუთაშვილს) და ბეწუკელისშვილებს და მათ ხიზნებს (რვა კომლი არის) აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ერთმანეთში დავა და უსიამოვნება ჰქონდათ. ბევრნი შეეცადნენ მათ მორიგებას, მაგრამ ვერავინ მოახერხა.

ამათ მოსარიგებლად ამ თვის პირველში, თიანეთიდან ჩამოვიდნენ: მომრიგებელი შუამავალი თავადი დიმიტრი ქავჭავაძე და ბოქაული ბ. ვაშაძე. ზემოხსენებულ პირთ, ორი დღე დაჰყვეს სოფ. ნაქალაქარში, დიდის ცდის შემდეგ მორიგეს, გუგუთაშვილი, ბეწუკელისშვილი და მათი ხიზნები ამნაირად: გუგუთაშვილმა და ბეწკულიშვილმა უნდა მისცენ თავიანთ ხიზნებს ხუთასი თუმანი ფულად, და აპატიონ მათზე რაც „ნედოიმკეში“-ა დარჩენილი, აგრეთვე მისცეს სამი წლის ვადა ხიზნებს; სამი წლის განმავლობაში უნდა აიღონ თავიანთი შენობები.

ამნაირად მორიგეს თ-მა დიმიტრი ქავჭავაძემ და ბ. ბოქაულმა ვაშაძემ ხიზნები და მემამულე გუგუთაშვილი და ბეწუკლისშვილი. ამ ხუთასი თუმნით კარგა მამულს იყიდიან ზემოხსენებული ხიზნები.

აქეთ სამინისტრო სკოლები თანდათან მრავლდება; სოფელ საყარაულოში პირველს ენკენისთვიდან იხსნება ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. ამ სკოლისთვის შენობის ჩასადგმელად საჭირო მიწა ორი დესეტინა სოფელ საყარაულოში თავისი მამულიდან აღუთქვა, თიანეთის მომრიგებელმა შუამავალმა, თავადმა დიმიტრი ნიკოლოზის ძე ქავჭავაძემ. ამავე სკოლის სასარგებლოდ აღუთქვა ასი მანეთი ფულად (100 მ.) თიანეთში მოვაჭრე მოსესა ხითაროვმა.

ვისურვებთ, რომ სხვათაც მიბაძონ ამათ კეთილის მაგალითისთვის.

ქართველი ხალხში ნამყოფი.

ბეჟათუბნის საზოგადოება. მთატანს თუ არა ზაფხულმა, აქ გაჩნდა ავადმყოფობა, ხურვება, რომელმაც ამ ერთი თვის განმავლობაში რამოდენიმე ადამიანი იმსხვერპლა. ეს სენი წარსულ არს წელსაც მოდებული იყო და ბევრიც გამოასალმა წუთისოფელს. ეს საზოგადოება მეტად დაშორებულია ექიმებსა და საავადმყოფოებს. რა უნდა ჰქნას საწყალმა ხალხმა? რომელიმე ოჯახში, ვთქვათ, გადამდები სენით ავადმყოფია, იგი იძულებულია ადგილობრივ პოლიციას მიჰმართოს, რომელიც ამაზე აცნობებს ჩხარის სასოფლო ექიმს (65-70 ვერსის მანძილზე), სანამ ექიმი მოვიდოდეს ხშირად ავადმყოფი გარდაცვლილა. თუმცა ავადმყოფის პატრონს შეუძლიან საჩქაროდაც მოიწვიოს გარეშე ექიმი, მაგრამ სად აქვს შეძლება 10-15 მანეთი გადაიხადოს. ეს გარემოება ავადმყოფის პატრონს აიძულებს საშველად რომელიმე სოფლის „მკურნალს“—მკითხავს მიმართოს, რომელიც იმას გარდა, რომ თავის „გასამრჯელოს“ ერთი ორად აიღებს, მიუთითებს მას რომელიმე სალოცავზე.

ყოველივე ეს აუტანელი გაჭირვება მცხოვრებთა ნათლად გვიჩვენებს ამ საზოგადოებაში საფერშლო პუნქტის გახსნის აუცილებელ საჭიროებას, რის შესახებაც უკვე ხმა დადის.

მიუხედავად ამისა ირგვლივ სიჩუმე სუფევს; აქაურ გავლენიან პირებს ყურზე სძინავთ და თითქოს აქ არაფერიაო, სრულებით არ ფიქრობენ გაჭირვებულ ხალხს რამე დახმარება აღმოუჩინონ. ან კი რა აწუხებთ! თვითონ რომ ადვილად შეუძლიათ გაჭირვების დროს საჩქაროდ მიიწვიონ ექიმი.

დროა მიექცეს ამ გარემოებას ერობის ჯეროვანი ყურადღება და აღძრას შუამდგომლობა ჩვენს საზოგადოებაში საფერშლო პუნქტის გახსნის შესახებ და მით ცოტა დახმარება მაინც აღმოუჩინდეს ისედაც გატანჯულ მცხოვრებთ.

ჩამორჩენილი.

ოსმალეთი და ჩერნოგორია

დ ე პ ე შ ე ბ ი.

24 თიბათვე.

სტამბოლი. ამბავი მოვიდა, მალისორების ჯარს რამდენსამე ადგილას დაეცნენო. პორტა ამას დიდ მნიშვნელობას არ აძლევს და ამბობს, რომ ეს მორიგებას ხელს არ შეუშლისო. სტამბოლის დიპლომატიურ წრეებში მშვიდობიანობის სურვილმა გაიმარჯვა. მინისტრთა საბჭოში თათბირი იყო ცნობის შესახებ, რომელიც ცეტინიედან მოვიდა. იტყობინებიან, ჩერნოგორიის მთავრობა ეხლა სხვა გუნებაზეა და თანახმაა ალბანელებისა და ოსმალების მორიგებას ხელი შეუწყოსო. ჩერნოგორიის რწმუნებულმა განუცხადა ოსმალეთის მთავრობას, ჩერნოგორია თანახმაა ოსმალეთისათვის ხელსაყრელი ნეიტრალიტეტი დაიცვასო. გარეშე საქმეთა მინისტრმა დარწმუნებით განაცხადა, ალბანელებთან მოლაპარაკება კარგად გათავდება და ომი აღარ მოხდებაო. იმედი აქვთ, რომ მობილიზაციას შეაჩერებენ და ალბანელებთან მოლაპარაკების ვადას გაადიდებენ.

ყველა გაზეთები ერთ ხმად აცხადებენ, რომ მდგომარეობა ისე აღარ არის გამწვავებული როგორც აქამდის იყოვო და საქმის მშვიდობიანად გათავების იმედი აქვთ. „რენინი“ ამბობს, ოსმალეთს ომზე უკეთესი საშუალება აქვს თავის ენერგიის მოსახმარებლადაო. „ზია“ ამბობს, ალბანეთის რეფორმის დიდ პროექტს ამზადებსო. „თურქის“ სიტყვით, სამხედრო მინისტრი ალბანეთს წავა რეფორმების შემოღების თვალ-ყურის სადევნელადაო.

მონასტირი. სამხრეთელი ალბანელები ჩრდილოეთელების მიშველებასა სცდილობდნენ, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარათ. ბესანის კაზაში სამი ბოლ კარელი მოჰკლეს.

ცეტინიე. პოდგორიცის დივიზიის მობილიზაცია სამუდამოდ გადაიდო. პოდგორიცაში კათოლიკეთა არქიეპისკოპოსი დაბრუნდა და ალბანელებთან მოლაპარაკება გამართა. მასთან მისაშველებლად წავიდა ნეაპოლიტანის სარევოლიუციო კომიტეტის წევრი, რომელიც ირწმუნება, რომ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყვებაო.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

ოსმალეთ ჩერნოგორიის გამწვავებული დამოკიდებულება ერთ ხანად მიყუჩდა, მაგრამ იმედი მაინც არავისა ჰქონდა, რომ სრულებით ჩაჩუმდებოდა. ასეც მოხდა. ოსმალეთმა ხელ-ახლად გარეკა ჯარი ჩერნოგორიის საზღვარზე. ჩერნოგორიამ მაშინვე მობილიზაციას მიჰყო ხელი. საქმე იმით გამწვავდა, რომ ჩერნოგორიის მიწა-წყალზე ოსმალების მიერ აგებული სიმაგრე „ეზერის სიმაღლე“ ოსმალებისაგან მოუშლელი დარჩა. თუმცა რამდენიმე დღის წინედ სადრედინ-ბეიმ ჩერნოგორიის გარეშე საქმეთა მინისტრს წერილობითი დაპირება გადასცა, ამ სიმაგრეს მოვშლითო, მაგრამ მოშლის მაგიერ ოსმალებმა უფრო გაამაგრეს და ახალიც მიუმატეს. ეს ჩერნოგორიელებმა ომში გამოთხოვნად მიიჩნიეს, ამის თაობაზე ჩერნოგორიის მთავრობამ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიმართა და ოსმალეთის არა წესიერი საქციელი მიუთითა. ამ რიგად ოსმალეთ-ჩერნოგორიის დამოკიდებულებანი თან-და-თან მწვავდება. მთავარი მიზეზი ის არის, რომ ოსმალეთი დარწმუნებულია მალისორები ჩვენ პირობებს იმიტომ არა სთანხმდებიან, რომ მათ ჩერნოგორია აქეზებსო. პორტას აქამდის ოფიციალური და გადაჭრილი ნოტა არ წარუდგენია ჩერნოგორიისათვის, მაგრამ მის ელჩს მაინც რამდენჯერმე განუცხადა, თუ აჯანყება არ ჩაჰქრა ყველაფერი თქვენ დაგბრალდებათო. ამ რიგად ჩერნოგორიას აჯანყებულთა წაქეზებას აბრალებენ. ჩერნოგორია თავის გამართლებას არა სცდილობს, მაგრამ არცა სტყუდება. ეჭვი არ არის, რომ ჩერნოგორია ალბანელებს მართლაც შველის. ამ დღეებში კატაროში ხმა გავრცელდა ჩერნოგორიამ სახელოსნოები მოაწყო; ამ სახელოსნოებში ალბანური ტანისამოსი იკერება. ტანისამოსი იმ ჩერნოგორელებს დაურიგდებათ, ვინც ალბანელების მოშველებას მოინდომებსო. მიუხედავად ყველა ამისა, ოსმალები მაინც არწმუნებენ ქვეყანას, ალბანეთში არავითარი აჯანყება არ არის და არც ალბანეთის საკითხია სადმეო. არის მხოლოდ 20.000 აჯანყებული მალისორებიო (აქამდის 300 იყო!) და თუ ალბანეთის საკითხს საერთაშორისო საკითხად აქცევენ ევროპაში დიდი მშვიდობიანობა დაირღვევაო, აცხადებენ ოსმალები.

უცხოეთი

სერბია.

დეპეშებით ვიცით, რომ სერბიის სამინისტრო დაეცა. მიზეზი შემდეგი იყო: მინისტრი-პრეზიდენტი პაშიჩი ვენაში იყო. იქიდან რომ დაბრუნდა თავის ამხანაგებს მინისტრებს განუცხადა, საოჯახო მდგომარეობა ისეთი მაქვს, რომ მინისტრობას თავი უნდა დავანებოო. ამავე დროს სამინისტროში იყო თხოვნა გარეშე საქმეთა მინისტრის მილოვანოვიჩისა, რომელიც დასასვენებლად დიდი ხნით იყო წასული. მილოვანოვიჩი სთხოვდა ამხანაგებს თუ სამინისტროს შემადგენლობის ცვლილება მოხდება, ახალ სამინისტროს სიაში ნუ ჩამწერთო. ამას ზედ დაერთო უთანხმოება, რომელიც ფინანსთა მინისტრს პროტიჩსა და მიწად-მოქმედების მინისტრს პროდანოვიჩს მოუვიდათ. უთანხმოება იმან გამოიწვია, რომ მიწად-მოქმედების ბანკისთვის საფრანგეთიდან სესხის აღებას აპირებდნენ. პროტიჩი სესხის წინააღმდეგი იყო. ამ უთანხმოებამ და ორი მინისტრის წასვლამ სამინისტრო დასცა.

სპარსეთი.

სპარსეთის რეგენტი მთელი ძალის ხელში ჩაგდებასა სცდილობს. ამას წინედ იგი აგარაკიდან თეირანს დაბრუნდა და მეჯლისს განუცხადა, მე არაფერში არა ვარ პასუხის მგებელი, ყოველივე პასუხის მგებლობა მინისტრებს ედებათო. თუ ქვეყნის საქმე ცუდ მდგომარეობაშია, მე არა ვარ დამნაშავე, მე არავითარი ძალა და უფლება არა მაქვს. რისთვის უნდა ვიყო პასუხის მგებელიო, სთქვა რეგენტმა, თან სთხოვა მეჯლისს, ეს ჩემი განცხადება ტელეგრაფით შეატყობინეთ პროვინციებსაო. მაგრამ დეპუტატებმა უპასუხეს, ხალხმა კონსტიტუცია იცისო და თხოვნა არ ასრულდა. მიხვდა, რომ რეგენტი ძალისა და უფლების ხელში ჩაგდებასა სცდილობს. რაკი რეგენტი ამაში დამარცხდა, მეჯლისსა სთხოვა ევროპაში წასასვლელად ორი თვით დამითხოვეთო. მეჯლისმა არც ეს თხოვნა ასრულდა. ამის შემდეგ მეჯლისმა რეგენტს დაუთმო და სეპეხდარს ასეთი დეპეშა გაუგზავნა:

დაბრუნდით. თქვენ პირობების თანახმანი ვართ, მხოლოდ კანონების მიხედვითაო.

ამ მოლაპარაკების დროს რეგენტი დემოკრატებს ცივად ეპყრობოდა. მეჯლისის უმრავლესობაც რეგენტის საქციელით უკმაყოფილოა. კრების წინ ყველა მინისტრმა რეგენტს თანამდებობიდან გადადგომა სთხოვა, მაგრამ თხოვნა მიღებული არ იქმნა.

რუსეთი

რუსეთის დიპლომატია და მაროკოს საქმე.

გერმანიამ აგადირში რომ სამხედრო გემი გაგზავნა, რუსეთის დიპლომატია გაჰკვირდა. ამას დიპლომატები ალზეერიზის ხელ-შეკრულების დარღვევადა სთვლიან და დარწმუნებულნი არიან, რომ ისპანიასა და გერმანიის შორის საფრანგეთის საწინააღმდეგოდ საიდუმლო ხელ-შეკრულება უნდა არსებობდეს.

როცა საფრანგეთმა გაიგო, გერმანიამ აგადირში სამხედრო გემი გაჰგზავნაო, ლონდონისა და პეტერბურგის მთავრობას შეეკითხა, რა აზრისანი ხართო. პეტერბურგში დარწმუნებულნი არიან, გერმანია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მაროკოს ტრაქტატი ხელ-ახლად იყოს განხილული და ახალი კონფერენცია მოიწვიონ. საფრანგეთი ამას დღევანდლამდე ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ეხლა ისპანია-გერმანიასთან შეტაკება არა სურს, უნდა დაუთმოსო. რუსეთის დიპლომატიას ეხლა ამ საქმისათვის არა სცალიან. ბალკანეთზედაც ძალიან არის საქმე არეული და შორეულ-აღმოსავლეთშიაც გართულებულია. ასე, რომ ევროპის საქმეებში ერთგულად ჩარევას ვერ მოახერხებს. მას შეუძლიან მხოლოდ დიპლომატიურად დაუჭიროს მხარი საფრანგეთს, იმ შემთხვევაში თუ ახალი კონფერენცია მოიწვიეს. მაგრამ ეს გამოსარჩლება მხოლოდ პლატონური იქნება და ვინ იცის შეუშლის გერმანიას ხელს თუ ვერა, ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ბალკანეთის საქმეები ძალიან აწეწილია და იტალიაც უკმაყოფილოა საფრანგეთის პოლიტიკით ხმელთაშუა ზღვაზე, რადგანაც ამით ტრიპოლში იტალიის ინტერესებს არღვევს.

ამურის რკინის გზაზე კატორღაში გადაგზავნილთა მდგომარეობა.

როგორც „ნოვოე ვრემია“ ამტკიცებს, კატორღელთა მდგომარეობა დაბა რაზდოლნიში წარმოუდგენელია თურმე.

აქ საქმის სათავეში სდგას ორლოვის მთავარი სატუსაღოს ადმინისტრაცია, რომელმაც სრულიად არ იცის ადგილობრივი პირობები. ისეთი წესი შემოიღო მუშაობაში, რომელიც ძირს უთხრის მთელს საქმეს. აქ თურმე მიღებულია, სრულიად უნიადაგოდ, მკაცრი მოქცევა, განუწყვეტელი დაციმვა, ცემა, გაწკეპვლა, რასაც საქმის მდგომარეობა სრულიადაც არა მოითხოვს. რაზმის უფროსი, ლეონოვიჩი, უმნიშვნელო უზრდელი პასუხისათვის თავის ხელითა ჰკლავს ტუსაღს. სამუშაოზე დასნეულებული ტუსაღები გაჰყავთ. გუჩკოვს და უმაღლეს დაწესებულებათა წარმომადგენელს ხშირად ხვდებიან მაღაროებში ცინგით ავადმყოფნი. საჭმელი ყოვლად უვარგისია. კარცერები, სადაც ცემისაგან სიკვდილის პირად მივარდნილი ტუსაღები უნახავთ, საშინელ მყრალ ჯურღმულს წარმოადგენს. ამ რაზმის ხელქვეითი ჯგუფი ავადმყოფია და მათი დარაჯებიც მთელი რვა დღის განმავლობაში თბილ საჭმელს მოკლებულნი იყვნენ, რადგანაც ამ პარტიის ზედამხედველი, ანენკოვი, ისე დაბრუნდა უკან, რომ სანოვაგის ფულები არ დაუტოვებია. რკინის გზის ექიმი იუწყება, რომ რაზდოლნიში უნახავს შიმშილისაგან გარდაცვლილი ტუსაღი.

ასეთი რეჟიმი, რომელიც „მკვდართა სავანეს“ მოგვაგონებს, ტუსაღების გაქცევას იწვევს. ყველა ეს ზემო ჩამოთვლილი მდგომარეობა ა. ი. გუჩკოვს დეპეშით შეუტყობინებია იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვისათვის.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 თიბათვე.

სტამბოლი. ფოსტა-ტელეგრაფის ახლად დაარსებული სამინისტროს მეთაურად დანიშნა სომეხი სტამბულიანი, სასამართლოს ინსპექტორად ნამყოფი.

ლონდონი. საურდელანდში მუშების გაფიცვა დასრულდა. მუშებისა და გემების პატრონთა შორის საქმე მორიგებით გათავდა. მუშებს ხელ-ფასი მოუმატეს.

ტოკიო. გაზ. „ხოჩი“ საზღვაო-სამხედრო პროგრამის გაფართოებას ეხება და ამბობს, ფლოტის გადიდება იმიტომაა საჭირო, რომ ამერიკა წყნარ ოკიანეში გაძლიერებასა სცდილობსო.

თეირანი. მეჯლისი დასთანხმდა, ამერიკიდან ფინანსთა სამინისტროსათვის კიდევ სამი მრჩეველი დაიბაროს.

მექსიკა. ამ რამდენსამე კვირის წინედ, რკინის გზის მუშები გაიფიცნენ. გაფიცვა ეხლა აჯანყებად იქცა. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი მოჰკლეს.

ელკსარი. ისპანელების რაზმი, რომელშიაც 200 კაცი იყო, ისპანიის ვიცე-კონსულის მეთაურობით ყად პენდახანის სახლისკენ გაემართა. ყადს დატუსაღებისა შეეშინდა, საფრანგეთის საელჩოს შეეფარა და განაცხადა, მეხზენის მოხელე ვარ და საფრანგეთის ბაირაღის მმართველობის ქვეშ ვიმყოფებიო. პოლკოვნიკი სილვესტრი ამ ინციდენტის გამოსაკვლევად ელკსარს დაბრუნდა. ის ცნობა, ვითომც ისპანელებს არზილი აეღოთ, ტყუილია.

სალონიკი. მთავრობამ იმ 50.000 ოსმალურ გირვანქის გადებაზე, რომელიც გერმანელი პროფესორი რიხტერის გამოსასყიდადაა საჭირო, უარი განაცხადა; გაიგზავნა რაზმი, რომელმაც რიხტერის დამატყვევებელ ყაჩაღებს უნდა სდიოს. „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტმა თავისი ერთი წევრი ყაჩაღებთან მოსალაპარაკებლად გაჰგზავნა.

ბადახოსი. (ისპანია). ხმები, რაც აქ ლისაბონიდან მოდის, ძალიან გაურკვეველია. ერთი მოგზაური მოვიდა ლისაბონიდან და ამბობს—იქ დიდი აღელვებაო. კარბონარიებმა დიდი მანიფესტაციები გამართეს სათადარიგო ჯარის გაწვევის თაობაზეო.

ასუნსიონ. შეთქმულება იყო. შეთქმულებმა პარაგვაის პრეზიდენტი იძულებულჰყო თანამდებობიდან გადამდგარიყო და ბუენოს აირესს წასულიყო.

ბრიუსელი. მოიწვიეს სოციალისტთა საერთაშორისო ბიურო, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საკითხი, როგორ უნდა იმოქმედონ სოციალისტებმა, თუ მაროკოს საქმემ ომი გამოიწვია.

ბერლინი. ოფიციალური წყაროებიდან გაიგეს, რომ მაროკოს საქმეზე კაბინეტებს მოლაპარაკება დაუწყიათ.

ლონდონი. ბირჟის დეპეშათა სააგენტო ტანჟერიდან იტყობინება, ვითომც საფრანგეთ-მაროკოს საიდუმლო ხელ-შეკრულება დაედოთ. ამ ხელ-შეკრულების ძალით, საფრანგეთი მაროკოს შველასა ჰპირდება იმ პირობით, რომ მაროკომ საფრანგეთის დაუკითხავად სხვა სახელმწიფოებთან არავითარი საქმე არ დაიჭიროს.

პარიზი. ჰავასი ამბობს, რომ ბირჟის დეპეშათა სააგენტოს ცნობა აპოკრიფულიაო.

შეერთებული სოციალისტები საარჩევნო რეფორმის გადადებით უკმაყოფილონი არიან და ობსტრუქციებს იმუქრებიან.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ სოციალისტი კოლლის წინადადება, დათხოვნილ მუშათ უკან მიღებისა, უარჰყო და 361 ხმით წინააღმდეგ 81-სა მთავრობას ნდობა გამოუცხადა და მორიგ საკითხებზე გადავიდა.

ქრისტიანია. სამთო მუშებმა 1.200 ხმით წინააღმდეგ 7 საქმის პატრონთა წინადადება უარჰყვეს. ამიტომ შაბათს გაფიცვა გამოცხადდება. დათხოვნილია 17 ათასი მუშა.

პარიზი. ანტიმილიტარისტულ პროპაგანდამ შრომის ბირჟაზე ჩხრეკა გამოიწვია. გაჩხრიკეს ქვის მთლელთა სინდიკატი და ამ სინდიკატის ორი წევრის სახლი; ამ ორმა წევრმა იმ ცირკულიარის შედგენაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც სალდათებს დაურიგეს და რომლითაც ურჩევდნენ თქვენს მოვალეობას ნუ შეასრულებთო.

რ უ ს ე თ ი.

პეტერბურგი. ვაჭრობის მინისტრმა მოიწონა საგანგებო კომისიის წინადადება რათა საზოგადო სასწავლებლებში შემოიღონ ფიზიკური ვარჯიშობა და ამ მიზნისათვის გამოცხადდეს კონკურსი შესაფერი სახელმძღვანელოს შესადგენად.

ფ რ ე ნ ა

პეტერბურგი. პორუჩიკი სამილსკი გატჩინის აეროდრომზე გრუპის სისტემის ბიპლანით ჰფრინავდა. მოტორის გაფუჭების გამო 50 ადლის სიმაღლიდან ჩამოვარდა. საფრენი მანქანა დაიმსხვრა, ავიატორი კი დაშავდა.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ს. უფიანის „წვრილი მოთხრობანი“ გამოცემული ნ. სამნიაშვილის მიერ 1911 წელს.

დღევანდელ დღეს, როცა ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოების გაგება დიდ სიძნელეს წარმოადგენს არამთუ მდაბიო ხალხისათვის, არამედ თვით ჩვენის ინტელიგენციის ფართე ნაწილისათვისაც, ამ დროს ს. უფიანის წვრილი მოთხრობათა ცალკე წიგნად გამოსვლა სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ხსენებული კრებული შესდგება ოცდა-ოთხი წვრილი მოთხრობისაგან, რომელთა მომეტებული ნაწილი, თუ სრულიად არა, უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს პერიოდულ გამოცემებში, განსაკუთრებით კი გაზ. „ივერიაში“; შინაარსი მოთხრობებისა უმთავრესად ამოღებულია ჩვენის სოფლის ცხოვრებიდან, განსაკუთრებით რევოლიუციის წინადროიდან და რევოლიუციის პირველ ხანებიდან; მიუხედავად კრებულის სიმცირისა (სულ 217 გვერდია პატარა ფორმატისა), მისი წაკითხვა მკითხველს ბევრს საყურადღებო საგანზე დააფიქრებს, რადგანაც აქ აღნიშნული მხარეები სოფლის ცხოვრებისა დღესაც თითქმის იმავე სურათს წარმოადგენს; აქ შეხვდებით ფრიად ხელოვნურად გადმოცემულ ამბებს როგორც გლეხის, თავად-აზნაურის, ღვდლის და მოხელეთა ცხოვრებიდან, აგრეთვე მათი ურთიერთობიდან. აქ გადმოცემული ამბები თუმცა თვითეულ ჩვენგანისთვის ცნობილია და ზოგიერთისთვის განცდილიც, მაგრამ მისი წაკითხვა მაინც სიამოვნებას აგრძნობინებს ისე უბრალოდ, მოწყვეტილად და გასაგებად არის გადმოცემული; აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ენას, რომელიც მართლაც მეტად მსუბუქია და აზრი ხალხურის თქმულებებით დასურათებული

მაგრამ რამდენადაც ეს კრებული საყურადღებოა შინაარსის მხრივ, იმდენად სუსტია როგორც გამოცემა: უპირველეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აქ აღნიშნული არ არის წლები ამა თუ იმ მოთხრობის დაწერისა, აუარებელი კორექტურული შეცდომებია, კრებულში მოთხრობათა უსისტემოდ დაწყობა და არც სარჩევი აქვს. მიუხედავათ ყველა ამ გარეგნულ ნაკლისა ამ წიგნის გამოსვლა, ვიმეორებ, უნდა სასარგებლოდ ჩაითვალოს, რადგანაც ჯერ ერთი ეს წიგნი ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს მოაგონებს, რომ ზეცისა და ზეცის იქით არსებათა გარდა არსებობს სინამდვილეც და მეორეც ის, რომ დაინტერესებულს ჩვენის სოფლის ცხოვრებით ბევრს ცნობებს მისცემს და არა დაინტერესებულს დააინტერესებს.

მრთველი.

გომის სინდიკატის გარშემო

(პასუხის მაგივრად ბ-ნ კოდელს)

როგორც ეტყობა, ბ-ნ კოდელის წერილი კიდევ მრავალ ლაპარაკს გამოიწვევს, რადგანაც იგი არსებითად არ ეხება საქმეს და უმთავრეს მიზეზებს სინდიკატის დაქვეითებას—გამოსდგომია წვრილმან და პირად ანგარიშებსა და სხვის დამცირებას. იგი სწერს:

1) „ერთი მიზეზთაგანი რომ სინდიკატმა ფეხი ვერ მოიკიდა ისიც არის, რომ განსვენებულმა იორდანე სიხარულიძემ დუქნის შეშუთი 3000 მ. ღირებული ამხანაგობას ფულად უანგარიშია და ამის პაი აიღოო“.

მერე რა არის აქ დასაგმობი?! სინდიკატის წესდების ძალით არავის ნება არ ჰქონდა 25 პაიზე მეტი ჰქონოდა. იორდანე სიხარულიძემ კი 3000 მან. შეშუტი 25 პაით შემოიტანა×110 მან. შეადგენს 2750 მან. სინდიკატს ამ რიგად მან 250 მ. დაუკლო. გარდა ამისა მან დაუთმოთ თავის გამართული და მშვენივრად მოწყობილი სავაჭრო სახლი თავის აუარებელი მუშტრით—იგი რომ ანგარიშით მოქცეულიყო და იმას აზრად ფულის მოგება ჰქონოდა მარტო სავაჭრო ადგილის დათმობისათვის 600—700 თუმანი ერგებოდა და მისცემდნენ კიდეც.

2) ნაღდი ფული არ გვქონდაო, ბძანებს კოდელი. ა) ნუ თუ დაგავიწყდათ, რომ თქვენ განკარგულებაშია დღესაც 12,000 მან. სკოლის ფული. ბ) ყველა წევრს თუ არა ორ მესამედს მაინც ჰქონდათ ტფილისის ბანკებში კრედიტი და სარგებლობდით კიდეც.

3) თქვენ თუ 1000 მან. 12 პროცენტს იხდიდით, სამაგიეროდ 12 ათასი მანეთი დღესაც უსარგებლოდ გმართებთ.

4) ბატონი კოდელი ბრძანებს, გამოცდილება არ გვქონდაო—მართალია არ გქონდათ, მაგრამ თქვენ რომ ამაყობისათვის თავი დაგენებებინათ და გევლოთ იმ რჩევაზე, რომელსაც იორდანე სიხარულიძე (ძალიან გამოცდილი ვაჭარი იყო) მუდამ გაძლევდათ, ასე არ დაგემართებოდათ.

5) თავად-აზნაურობას თუ როდისმე ჰქონოდა გასასყიდი, თვითონ როგორ იკადრებდა, მოურავებს ანდობდნენო.—ეს წინად; როდესაც სინდიკატი დაარსეს, მაშინ კი სხვანაირად იწყეთ მოქმედება—მაშინ ყველაფერს კადრულობდით: მაგალითად სოსიკო თარხნიშვილმა, ამ დიდად და დიდად გულ-შემატკივარმა წევრმა, სინდიკატიდან წაიღო 400 ტომარა და რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოიტანა სიმინდი და განუცხადა სინდიკატს; გოკიელოვი და არყის ქარხანა (გომში) 75 კაპ. მაძლევენო და თუ თქვენ მეტს არ მომცემთ იმათ მივყიდიო და მართლაც აასრულა თავისი მუქასრა. როსიკო ამირეჯიბი კიდევ ყოველთვის ერთ აურ-ზაურს ასტეხდა ხოლმე, 1/2 კაპიკზე გასცვალა სინდიკატი და მიხა გოგატიშვილს მიჰყიდა თავისი აუარებელი ღალები. სიმა დეკანოზიშვილი, ლუკა ზეგთაბეგიშვილი და ბევრიც სხვა... გლეხკაცობა აი სწორედ ამნაირმა თქვენმა (წევრების) საქციელმა გააყენა განზე.

6) რაც შეეხება ნისიაზე „ლეგატუსმა" არსებითათ გიპასუხათ და მე მხოლოდ იმას დაუმატებ, რომ გომში მეორე დიდი სავაჭრო სახლი დღესაც არსებობს „გოკიელოვისა", რომელსაც ირჯელ მეტი ვაჭრობაც აქვს სინდიკატზე და ნისიაც ბევრი აქვს გაცემული.

კოსტა ამირეჯიბს მუდამ ემართა ას თუმნობითაო; განა სინდიკატს არ ემართა ხოლმე იმისევე უფრო მეტი, განა სინდიკატმა, ამ სამაგალითო დაწესებულებამ, უჩივლელად მისცა თავისი ნისია „ტფილისის აფიცერთა საზოგადოებას!?" ფოთიდან კოგაგი უგზავნიდა სინდიკატს შაქარს და მგონი მაგალითი არ ყოფილა, რომ დროზე გაგეგზავნათ ხვედრი ფული. ნავთის საქმე ხომ უფრო უარეს ფარგალში იყო ჩაყენებული, მთელი თვეობით არ გქონდათ ხოლმე იმიტომ, რომ თავის დროზე არ უგზავნიდით ფულს. მაგრამ თავი დავანებოთ ამ წვრილმანებს.

1903 წ. კოსტა ამირეჯიბი იყო ამორჩეული გამგე-დირექტორად და რადგანაც მას თავის საქმეც ჰქონდა კრების ნებადართვით, თანაშემწედ დაიყენა სოსიკო თარხნიშვილი თვეში 50 მან., რომელსაც თავის ჯამაგირიდან აძლევდა.

თავის დღეში არ დამავიწყდება ის, რომ ერთხელ მარიამობისთვეში (პურის ვაჭრებმა იციან მისი ფასი) ფული არ გვქონდა კასსაში. შუა ღამისას გავგზავნეთ კაცი კოსტა ამირეჯიბთან და იმან 500 მან. გამოგვიგზავნათ, ვალი კი არა ვალად (არა ემართარა). ეს ერთიანი ფული იყო და კასსირი გაგზავნა სოსიკო თარხნიშვილმა სურამში დასახურდავებლად; ის იმავე პოეზდით ვერ ჩამოვიდა და თქვენ კი გაავრცელეთ ხმა (შეიძლება იხუმრეთ) კასირმა გაიტაცა ფულიო. მეორე დღეს ქინახული მოიტანეს. ს. თარხნიშვილი ყველას უარს ეუბნებოდა—ფული არ გვაქვს ვერ ვიყიდითო და საღამოზე კი თავის ექვსი თვის ჯამაგირი გამოიწერა 300 მ. შეიძლება სინდიკატი ხვალაც დაიკეტოსო და ეს რაღაზე დავკარგოვო. მაშინ იქ უცხოებიც ბევრი იყო. ერთხელ კიდევ ძალიან ბლომად მოვიდა ქირნახული კასსაში. კვლავ ფული არ იყო, გლეხობა აცხადებდა მიიღეთ და მერე მოგვეცითო. ს. თარხნიშვილს იმ დღეს ნერვები ჰქონდა მოშლილი, გამოვარდა საცვლების ანაბარა და დაუწყო ლანძღვა: არ გვინდა თქვენი ქირნახულიო. თქვენ რომ ასე გულადად და რიხიანად მოქცეულიყავით, მაშინ როდესაც თავადიშვილმა ნისია მოგტაცათ სინდიკატი, დღესაც საზოგადო დაწესებულება იქნებოდა და არა საწვრიმალო დუქანი.

აი ამისთანა მრავალი ეპიზოდები გახდნენ მიზეზი სინდიკატის დაქვეითებისა.

განა ის კი ნაკლები საძრახისია, რომ თქვენ გსურდათ თქვენი საბძელი და ბოსელი გაგესაღებინათ და სწორედ ამ მიზნით გაახსნევინეთ გომშივე განყოფილება, რომელსაც მიჰყიდეთ ორივე შენობა 600 მ. და 6 თვის შემდეგ თქვენსავე რჩევით და ძალდატანებით დააკეტინეთ განყოფილება ნამდვილ ვაჭრობის დროს და ის თქვენი მიყიდული შენობა დღესაც მუქთად და ცარიელნი დგანან.

ერთი ყოფილი მოსამსახურეთაგანი.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! თქვენს პატივცემულს გაზ. „სახალხო გაზეთის" მე-295 ნომერში მოთავსებულია ძველ-გალავნელის კორრესპონდენცია ამ სათაურით „ხმა თელავიდან", რომელშიაც ბ. ძველ-გალავნელი ცილსა მწამებს, ვითომ მე მომესპოს და შამომელობოს ღვთაების ეკლესიისაკენ ასავალი გზა, რომელი გზა მითომ და ქალაქის საკუთრებას შეადგენდა და ქალაქს რაღაც მოწყალე თვალით მოუხედნია ჩემსკენ, აულია და უ'უქებია ხსენებული გზა ჩემთვის. შემდეგ ამისი კიდევ მე-314 ნომერში „სახალხო გაზეთისა" იყო შენიშვნა, რომ მე, როგორც ქალაქის მამასახლისის თანაშემწე, უკანონოდ ვმოქმედობ და ვსპობ რიყის პირას ღვთაების ასავალ გზას და ხმის გამცემი კი არვინ არის!? რომ ყველა ზემოხსენებული ცნობები სიყალბეა, მე სამოქალაქო გზა არ მიმისაკუთრებია და არც არაფერი ჩემთვის ქალაქს არ უჩუქებია, ამას დაუმტკიცებ ბ. ძველ-გალავნელს. ამისათვის წინადადებას ვაძლევ ბ. ძველ-გალავნელს სამედიატორო სამართალში გამოვიდეს და ამ წერილის დასტამბიდგან ექვსი დღის განმავლობაში დაასახელოს თავის მხრივ ერთი მედიატორე, ჩემის მხრით ვასახელებ ვანო იულიანის ძე ყულიჯანოვს, ხოლო ეს ორნი ამოირჩევენ მესამეს თავიანთი შეხედულობით. ამ მედიატორებს ევალებათ საქმის საბუთიანად გარჩევა და ოქმის გამოცხადება გაზეთის საშუალებით და ისიც, რომ მტყუანი მხარე დაჯარიმებულ იქმნეს 30 მანეთით თელავის საზოგადო სამკითხველოს სასარგებლოდ.

თუ ვინიცობაა ბ. ძველ-გალავნელს მოქალაქეობრივი გამბედაობა უმტყუნებს და არ მიიღებს ზემ ხსენებულ ჩემ მიერ გამოწვევას სამედიატორო სასამართლოში, მაშინ ბ. ძველ-გალავნელმა იცოდეს, რომ არსებობს ჯეროვანი სასამართლო, რომელსაც აუცილებლივ მივმართავ და ცილის წამებისათვის პასუხს იქ გამცემს.

თელავის მამასახლისის თანაშემწე

გასპარ ბ.-ძე თათუზოვი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

ტფილისიდან გადის:

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. ხაღ. 10 ს. 10 ხუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **ხაფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო** მატ. დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული** მატ. № 107, მეოთხ. კლასით, გადის ხაღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარაში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) ხაფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) ჩქარი მატ. № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად, 1 ს. 44 წ., ბალაჯარაში ხაღ. 10 ს. 2 წ. ბაქოში ხაღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარაში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის ხაღ. 7 ს. 30 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ:

1) ხაფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1 I—III კლ. ხაღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. ხაფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით ხაღ. 8 ს. 7 წ.

ბათომიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., ხაფოსტო N 4, ხაღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: ხაფ. N 72—73, დილ. 6 ს 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, ხაღ. 8 ს. 30 წ.

ქუთაისიდან გადის:

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., ხაფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. ხაფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. ხაფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ, ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაბნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

ქუთაისს მოდის:

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., ხაფ 8 ს. 20 წ. ხაღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათომიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., ხაფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., ხაფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ 10 ს. 21 წ. დილით

მორაბნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

ტფილისიდან მცხეთაში:

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4ამ, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

მცხეთიდან ტფილისში:

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის ხაღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის ხაღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის I და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოკისლავოდსკამდე, საერთამორისოზამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საგარეჯო № 76, 77, 76a, 77a.

4) **შერეული** სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით ივლის.

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9 1/2—10 ს. თვალისა. შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1 1/2 ს. შინ., განი და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1 1/—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. გ. გევესკაია-ენგელი: 6—6 1/2 საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. გარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—69)

მუხრანის ხიდთან

სამკურნალო

გაიხსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

ნ. მ. ასპიზოვი—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. აზვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ- 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლის-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—96)

ისყიდება მშვენიერი

მიწის ნაჭრები

საბურთალოზე, მტკვრის გადასახედში, კაზარმების ახლოს. მსურველთ მიმართონ: წყნეთის ქ. № 2—სანდრო მინდიაშვილს. (1—696—1)

ყალბი შესვენება, ლონდონი 1893 წ.

გაუფრთხილდით სიყალბეს!

პროვიზორ

გ. ფ. იურგენსის

ბორნო-ტიმოლის

● საპონი ●

ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძიბებისა, მელასი და ჭორფლის წინააღმდეგ კეთილსურნელოვანი ხელის საპონი უმაღლესი ღირსებისა.

ყველგან ისყიდება.

1/1 ნაჭერი 50 კ. 1/2 ნაჭ.—30 კ

Метцль. 5215. (18—1178—7)

უმაღლესი ჯილდო, უენესი, მასკოვი.

ВѢРНЫЙ ДРУГЪ ЖЕНЩИНЪ

КРЕМЪ КАЗИМИ

МЕТАМОРФОЗА

ПРОДАНО БОЛѢЕ ДВУХЪ МИЛЛIОНОВЪ БАНОКЪ

РАДИКАЛЬНО УСТРАНЯЕТЪ ВЕСНУШКИ, УГРИ, ПЯТНА, МОРЩИНЫ И ДРУГIЕ ДЕФЕКТЫ ЛИЦА

УТВ. ДЕПАРТ. ТОРГ. и МАНУФ. ЗА № 4683

ТРЕБУЙТЕ ПОДПИСЬ

Метцль. 32829. (6—1139—6

სუსუნატის წინააღმდეგ

ახალი წამალი

„SALO-პიჩილინი"

ხწრაფად და ხაფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში მეზ. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

ამრიგად კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека В. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის საფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იმოვება.

Метцль. 12429. (45—1014—20)

„სამპსონინი"

თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე)

(წლ.—1152—41)

ქ. თელავში

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ჭრა-კერვის

● წიგნი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—49)

იყიდება ყველგან

საუკეთესო ღირსების

და ნადული წყლისაგან დამზადებული

პურის კვასი

„ბემო"

კვასი „ბემო" იყიდება ყველგან. ბოთლი 10 კაპ., ნახევარ ბოთლი 5 კაპ. პირდაპირ ქარხნიდან წამღებ მუდმივ მხმარებელს მიეცემა ყინულში გაციებული და ფას დაკლებით. ქარხანა იმყოფება: ვერაზე, ბელინსკის ქ. № 13, სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მახლობლად. ('5—1281—12)

მოითხოვეთ ყველგან

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

არჩილ ჯორჯაძისა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კაპ.

Bâton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

გ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევანი"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

საკერავი მაშინა

ზინგერის კომპანიისა

იყიდება

მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფეხის დადგმით ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან

ხელის მაშინები ფასად **25** მანეთიდან

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНIИ ЗИНГЕРЪ

КОМПАНIЯ ЗИНГЕРЪ

მაღაზიის ნიშანი.

უფრთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ.—1062—31)





ალექსანდრე

თაბაგარი

მაღაზიაში

საკერავი და საქსოვი მაშინები,

ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

გრამოფონები და ველოსიპედები

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ, (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ", რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

(50—1072—29)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მაღაზიას ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისური ხიზილალა გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ. და 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბულა-რებეც 50 კ.

აგრე ივილეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)